პარადიგმი

ქართული
ხელოვნება
ბუნებისმეტყველება
მათემატიკა

დონე 1

ჰარაღეღები

დონე 1

2024

წიგნი შექმნილია პროექტის „საქართველოში მცხოვრები ლტოლვილი მოსწავლეებისთვის სახელმწიფო ენის სწავლებაზე ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა“ ფარგლებში.

პროექტის მხარდამჭერები: The UN Refugee Agency

World Vision

გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდი

პროექტის მენეჯერი: ბერიკა შუკაკიძე

პროექტის კოორდინატორი: ანი კუდუხაშვილი

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი: ნინო შარაშენიძე

სამუშაო ჯგუფის წევრები: თამთა ხუციშვილი, მაკა ინაშვილი, ეკა ბუთხუზი, ლელა მანგოშვილი, თეა კეკელიძე, რუსუდან თედორაძე, ლელა ალექსიძე

კორექტორი: მაია წიკლაური

დიზაინერი: მარიამ ელიზბარაშვილი

ISBN 978-9941-8-7269-3

წინასიტყვაობა

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ქართული ენის სამყაროში! ეს წიგნი სპეციალურად შექმნილია საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეებისთვის და ერთგვარ ხიდს წარმოადგენს მათთვის მდიდარი ქართული კულტურულ-ენობრივი ლანდშაფტისაკენ.

ქართულის სწავლა ყოველდღიურ ცხოვრებაში უკეთესად ინტეგრირების შესაძლებლობას მისცემს თითოეულ მოსწავლეს და გზას გაუხსნის ახალი ურთიერთობებისა და ახალი მეგობრებისაკენ.

ეს რესურსი შექმნილია იმისათვის, რომ სწავლის პროცესი სასიამოვნო და ხელმისაწვდომი გახადოს, ნაბიჯ-ნაბიჯ გაუღვივოს მოსწავლეებს ქართული ენისადმი ინტერესი.

ყოველი კურსი მსმენელს სთავაზობს პრაქტიკულ ლექსიკას, სახალისო სავარჯიშოებს და საინტერესო ისტორიებს საქართველოს წარსულისა და აწმყოს შესახებ.

წიგნთან ურთიერთობისას მოსწავლეები აღმოაჩენენ, რომ ახალი ენის სწავლა უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ სიტყვებისა და ფრაზების ათვისება. ეს არის მოგზაურობა ახალი კულტურის წიაღში.

რაც შეეხება პროექტის მნიშვნელობას, ის ძალიან აქტუალურია საქართველოში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეებისთვის, რათა მათ შეძლონ სრულფასოვანი ინტეგრაცია საზოგადოებაში.

ბერიკა შუკაკიძე

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორი

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

საქართველოში ჩამოსული უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეები დიდი გამოწვევის წინაშე დგანან - მათ უნდა შეისწავლონ ქართული ენა და სწავლა უნდა გააგრძელონ ქართულ სკოლაში. სრულიად უცხო ენობრივი გარემო არაერთ დაბრკოლებას აჩენს, მით უფრო, რომ ენის ათვისება და ქართულ ენაზე განათლების მიღება პარალელურად მიმდინარეობს. ენის ათვისებისთვის დამატებითი გაკვეთილების მიწოდება მნიშვნელოვანი დახმარებაა მათთვის და სპეციალურად შექმნილი სახელმძღვანელო ამ პროცესს კიდევ უფრო მეტ ეფექტიანობას მიანიჭებს.

წიგნი „პარალელები“ როგორც სწავლების სფეროში ჩართული მასწავლებლებისთვის, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსია.

ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამოიყო ექვსი თემა. თემები, გამჭოლი კომპეტენციის გამოკვეთით, დამუშავებულია ოთხი საგნის ფარგლებში: ქართული ენა, ხელოვნება, ბუნებისმეტყველება და მათემატიკა. თითოეული თემა წარმოდგენილია ოთხი დონისთვის (საწყისი, განსავითარებელი, საშუალო და მაღალი დონეები; პირობითად, დონე 1, 2, 3, 4). თითოეული საგნისათვის შეიქმნა თემის მიწოდების სტრუქტურა, რომლის ფარგლებში თემა დამუშავებულია მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი პრაქტიკული დავალებებით. დავალებები შეიძლება შესრულდეს როგორც საკლასო სიტუაციაში, ისე საშინაო დავალებების სახით. წიგნი უხვადაა ილუსტრირებული, სავარჯიშოები მიზანმიმართულადაა წარმოდგენილი ლექსიკისა და გრამატიკული უნარების განსავითარებლად, ასევე, დარგობრივი ტერმინოლოგიის ასათვისებლად. სახელმძღვანელო დიდ დახმარებას გაუწევს როგორც მასწავლებლებს, სასწავლო პროცესის სწორად და საინ-ტერესოდ წარმართვისათვის, ასევე მოსწავლეებს, რომლებიც თვალსაჩინოებებისა და პრაქტიკული სავარჯიშოების მეშვეობით უფრო კარგად და ადვილად აითვისებენ ქართულ ენას.

წარმატებებს ვუსურვებთ სახელმძღვანელოს სრული კომპლექტის გამომყენებლებს და ვიმედოვნებთ, რომ სასწავლო პროცესი ინტერესითა და ხალისით წარიმართება.

ნინო შარაშენიძე

საგნობრივი ექსპერტი

მეთოდური ჯგუფის ხელმძღვანელი

This textbook aims to equip teachers to enhance Georgian language proficiency among forcibly displaced and stateless children, improving their access to quality education. Learning the host language is crucial for any refugee child in Georgia, as elsewhere. It fosters a sense of belonging, reducing feelings of isolation and cultural barriers, and with better academic performance, this in turn can open up professional and educational opportunities.

Globally, UNHCR works with governments, NGOs and communities to create inclusive education systems that cater to the specific needs of refugees. This is done both at a policy level and at a practical level, through the strategic use of resources and training to catalyse change. UNHCR's Refugee Education Strategy 2030 promotes the equitable and sustainable inclusion of refugees, asylum-seekers and stateless children into the national systems, which is in line with the Education Strategy of Georgia for 2022-2032, with its focus on equality, inclusion and diversity. To translate these strategies into concrete actions, UNHCR found an invaluable partner in the Teachers Professional Development Center (TPDC). Through various assessments and individual meetings with children and their parents it became evident that while refugee children have full access to education, the challenge lay in ensuring the meaningful participation of refugee children in the learning process, and in general, in school life.

We were fortunate enough to be joined by allies and partners who were equally enthusiastic about addressing the issue, which resulted in the signing of a Memorandum of Understanding between the TPDC, UNHCR, World Vision and the Gudavadze-Patarkatsishvili Foundation (GPF) for the implementation of the project "Supporting the inclusion of refugee students residing in Georgia in State Language Education". This textbook is one of the outcomes of this collaboration, designed to support children in improving their proficiency in the Georgian language. The hope is that this will contribute towards the smooth integration of refugee children into society, equipping them with the language skills needed for sustained educational advancement.

UNHCR would like to extend its deepest gratitude to TPDC, World Vision and GPF for their commitment and contribution to this very important work. It was a pleasure to have had these organizations as partners in this journey to empower refugee children and communities through quality education. We strongly believe that all refugee school children, and more broadly, foreign school children, will benefit from the newly developed language education methodology. We hope for its sustainability and look forward to seeing its positive impact.

UNHCR

World Vision საქართველო ერთ-ერთი უდიდესი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის მთავარი მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა და მათ კეთილდღეობაზე ზრუნვა, ასევე, ჯანსაღი და ინკლუზიური გარემოს შექმნა.

ორგანიზაცია 100-ზე მეტ ქვეყანაში არის წარმოდგენილი, მათ შორის საქართველოში და 1994 წლიდანმრავალფეროვან პროგრამებს ახორციელებს ყველაზე მოწყვლადი ბავშვებისა და ოჯახების მხარდასაჭერად.

World Vision საქართველოსთვის პრიორიტეტულია - ყველა ბავშვს ჰქონდეს განათლების მიღების შესაძლებლობა, რაც აუცილებელია მათი განვითარებისა და უკეთესი მომავლისათვის. პარტნიორებთან თანამშრომლობით, ჩვენი ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს სხვადასხვა ეროვნების ბავშვებთან, მათ შორის ლტოლვილებთან და თავშესაფრის მაძიებლებთან, განათლების ხელშეწყობის კუთხით. ასეთი ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში, შეიქმნა ქართული ენის შემსწავლელი კურსები, რომლებიც მიმართულია საქართველოში მცხოვრები ლტოლვილებისა და მათი ოჯახების გაძლიერებაზე და ეხმარება მათ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესში.

განათლება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა, განურჩევლად მისი წარმოშობის, სტატუსისა თუ საცხოვრებელი ადგილისა. შესაბამისად, World Vision აგრძელებს ამ მისიის შესრულებას და მუშაობს იმისთვის, რომ საქართველოში მცხოვრებ ყველა ბავშვს ჰქონდეს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობა.

World Vision

გპფ გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდი

„ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის...“. გიორგი მერჩულეს ეს სიტყვები ზუსტად გადმოსცემს ქართული ენის სწავლების მნიშვნელობას. ჩვენი ქვეყნის უნიკალურობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ჩვენი სახელმწიფო ენა და ქართული ანბანია, ხოლო, რაც ყველასგან გამოგვარჩევს და რითაც შეგვიძლია ვიამაყოთ არის ის არამატერიალური მემკვიდრეობა, რომელიც ათასწლეულების წინ ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს, შეინარჩუნეს და ჩვენამდე მოიტანეს. ჩვენი ვალია, ქვეყანაში ქართული ენა სრულყოფილად ისწავლებოდეს როგორც ეთნიკური ქართველებისათვის, ისე თანამემამულე ეთნიკური უმცირესობებისთვის და ლტოლვილი უცხოელებისთვის. ამ უკანასკნელთათვის ენის ცოდნა საზოგადოებაში ჰარმონიული ინტეგრაციის საუკეთესო საშუალებაა. ამისათვის მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნას ქართულის სწავლა-სწავლებისთვის საჭირო რესურსები; მომზადდნენ და გადამზადდნენ სპეციალისტები, სკოლის პედაგოგები; გატარდეს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც კიდევ უფრო გაუმარტივებს ლტოლვილ უცხოელებს ახალ გარემოსთან ადაპტაციას და ინტეგრაციას.

სწორედ ამიტომ, გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდი, სხვა მნიშვნელოვან მიმართულებებთან ერთად, მხარდაჭერას უცხადებს ისეთ ინიციატივებს, რომელთა მიზანია სახელმწიფო ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობა. ასეთ პროექტებს შორისაა ფონდის მიერ 2022 წელს დაფინანსებული „მოსწავლეთა უნარებისა და წიგნიერების ხელშემწყობი პროექტი“,

რომელიც მიზნად ისახავდა ტრენერების მომზადებას, სპეციალური სასწავლო რესურსების შექმნას და 165 არაქართულენოვანი სკოლისთვის ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლების გადამზადებას. გპფ-ს მიერ კიდევ ერთი დაფინანსებული პროექტის - „ქართული ენის სწავლება ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეებისთვის“ მთავარ მიზანს წარმოადგენდა უნივერსიტეტისა და სკოლის მჭიდრო ურთიერთობის მოდელის შექმნა; ასევე, სკოლის ბაზაზე სტუდენტის პრაქტიკის გავლის სახელმძღვანელოს შემუშავება; მონიტორინგის ინსტრუმენტებისა და საკვირაო სკოლებისათვის ქართულენოვანი პროგრამის შექმნა.

ფონდის მიდგომაა - ნებისმიერი პროექტი თანამოაზრეებთან, პროფესიონალებთან და განათლების ქომაგებთან ერთად დააფინანსოს. ჩვენთვის ძალზე სასიხარულოა, რომ პროექტი „საქართველოში მცხოვრები ლტოლვილი მოსწავლეებისთვის სახელმწიფო ენის სწავლებაზე ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით და საერთაშორისო ორგანიზაციების UNHCR და World Vision თანადაფინანსებით ხორციელდება, რისთვისაც გვინდა ღრმა პატივისცემა გამოვხატოთ ყველა მხარის მიმართ. ამ ინიციატივის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ და ლტოლვილ მოსწავლეებს, შეისწავლონ ქართული ენა და ეზიარონ ქართულ კულტურას. პროექტის ფარგლებში პირველად შეიქმნა ფორმალური და არაფორმალური სასწავლო რესურსი - კურიკულუმი და ინტეგრირებული სახელმძღვანელო საფეხურების მიხედვით, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს, დაჩქარებულად დაძლიონ საგნობრივი საფეხურებრივი ამოცანები და დავალებები. უნიკალური სასწავლო რესურსი თანაბრად სასიკეთოდ წაადგება როგორც პროექტში უკვე ჩართულ არაქართულენოვან ბავშვებსა და მოზარდებს, ასევე მათ, ვინც სამომავლოდ გადაწყვეტს ქართული ენის დაუფლებას. იგი ხელმისაწვდომი და სასარგებლო იქნება ქართული დიასპორის მოსწავლეებისთვისაც. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული სახელმძღვანელო შექმნის კარგ საფუძველს, ამ მიმართულებით ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფისთვის სხვა დამატებითი რესურსების მოსამზადებლად.

გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდი (გპფ) მიესალმება და მოხარული იქნება, მხარი დაუჭიროს საშუალო და გრძლვადიან პერსპეტივაზე გათვლილ ყველა თანამიმდევრულ და მდგრად პროექტს, რომელიც ხელს შეუწყობს ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სწავლების ხარისხის ამაღლებას. ვიმედოვნებთ, რომ სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო დონორებიც გახდებიან პროექტის არა მხოლოდ მხარდამჭერები, არამედ მსგავსი წამოწყებების დაფინანსების ინიციატორებიც.

გუდავაძე-პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდი 2017 წელს ქალბატონ ინნა გუდავაძის ინიციატივით დაარსდა და მისი მიზანია განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა და ისეთი პროექტების მხარდაჭერა, რომლებიც მიმართული იქნება ქვეყანაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და ხელმისაწვდომობის გაზრდაზე, რათა სკოლაში განათლებული, წარმატებული, თავისუფალი და პატრიოტი მოქალაქე აღიზარდოს. გპფ-ის ძირითადი მიმართულებებია სასკოლო და პროფესიული განათლება; უმაღლესი განათლების მიმართულება შემოიფარგლება მხოლოდ ფონდის ინვესტიციით რეგიონულ უნივერსიტეტებში მომავალი პედაგოგების წახალისებისა და სასწავლო პროგრამებისა თუ პროცესების ხარისხის გაუმჯობესების მხარდაჭერის მიზნით. დღეისათვის გპფ-ს ჯამში 5 მილიონი ლარის 45-ზე მეტი საგანმანათლებლო გრანტი აქვს დაფინანსებული.

გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდი

სარჩევი

გარეგნო ჩვენ ირგვლივ 1

ქართული ენა 10
ხელოვნება 22
ბუნებისმეტყველება 27
მათემატიკა 31

ღღესასწაულები 2

ქართული ენა 42
ხელოვნება 57
ბუნებისმეტყველება 60
მათემატიკა 63

მოგზაურობა 3

ქართული ენა 70
ხელოვნება 81
ბუნებისმეტყველება 86
მათემატიკა 89

ბუნება და ადამიანი 4

ქართული ენა 98
ხელოვნება 107
ბუნებისმეტყველება 112
მათემატიკა 117

სურვილები და ოცნებები 5

ქართული ენა 124
ხელოვნება 133
ბუნებისმეტყველება 137
მათემატიკა 142

ფასეულობები და ღირებულებები 6

ქართული ენა 150
ხელოვნება 160
ბუნებისმეტყველება 164
მათემატიკა 169

გარემო ჩვენ ირგვლივ

1

დონე 1

ქართული ენა

1 **რას გვეუბნება სათაური?**

მზისფერი ფუტკარი

2 **უპასუხე კითხვებს:**

- შენი აზრით, როგორია მზისფერი ფუტკარი?
- კიდევ როგორი შეიძლება იყოს ის?
- ფუტკარი მწერია თუ ფრინველი?
- კიდევ რომელ მწერებს იცნობ?

3 **თითოეული მწერის სახელი დააკავშირე შესაბამის ნახატთან:**

ბუზი ჭიანჭველა პეპელა ჭიამაია

4 **რას ამზადებს ფუტკარი ყვავილებისგან?**

ა) თაფლს ბ) წვენს გ) წამალს

5 **წაიკითხე მონაკვეთი ტექსტიდან და უპასუხე კითხვებს:**

ერთ დილით მზისფერი ფუტკარი ყვავილების საძებნელად შორს გაფრინდა.

- რატომ გაფრინდა ფუტკარი შორს?

მზე კარგად რომ ამოვიდა, ფუტკარს დასცხა და გამოეღვიძა. თვალი რომ გაახილა, დაინახა ყვავილები; ისინი მზესავით უცინოდნენ.

- შენი აზრით, შეუძლია მზეს სიცილი?
- როდის იცინის მზე?
- როგორ ფიქრობ, რატომ უცინოდნენ ყვავილები ფუტკარს მზესავით?

ა) ეთამაშებოდნენ ფუტკარს ბ) უხაროდათ ფუტკრის დანახვა

6 **შენი აზრით, ილუსტრაციის, სათაურის და ამ პატარა მონაკვეთის მიხედვით, რის შესახებ შეიძლება იყოს ტექსტი?**

7 **გაიცანი მინდვრის ყვავილები და დაიმახსოვრე მათი სახელები:**

ფუტკარა

ბუერა

ჩიტისთავა

ვარსკვლავა

ბაია

გვირილა

იელი

8 **დააკავშირე თითოეული ილუსტრაცია შესაბამის სახელწოდებასთან:**

იელი	მინდორი	მზის სხივები	ყვავილების გვირგვინი

9 **სიტყვები და ფრაზები:**

თვალი მოჰკრა - დაინახა

სიხარულით ვივსები - ძალიან მიხარია

ძილი მოერია - ძილი მოუნდა

ჟივილ-ხივილით - მხიარული შეძახილებით; ჟრიამულით

10 **ჩასვი წინადადებებში გამოტოვებული სიტყვები:**

ძილი მოერია, თვალი მოჰკრა, ჟივილ-ხივილით, სიხარულით ვივსები.

1. გოგონამ ..... მეგობრებს და მათკენ გაიქცა.
2. მე ..... როცა ვთამაშობ.
3. ბებოს ..... და დივანზე ჩაეძინა.
4. ბავშვები ..... შემოეხვივნენ თოვლის პაპას.

11 **წაიკითხე ტექსტი:**

მზისფერი ფუტკარი

ერთ დილით მზისფერი ფუტკარი ყვავილების საძებნელად შორს გაფრინდა.

მინდორზე იელის ყვითელ ყვავილს **მოჰკრა თვალი**. იცოდა, რომ ტკბილი წვენი ჰქონდა და თუ დალევდა, აუცილებლად დათვრებოდა. იცოდა, მაგრამ ფრენით დაღლილი იყო, თანაც გაიფიქრა: - ვითომ რა იქნება, ტკბილი წვენი ერთხელ რომ დავლიო?

მზისფერი ფუტკარი ყვავილზე ჩამოჯდა, მისი წვენი დალია, დათვრა, **ძილი მოერია**, ჰაერში ვეღარ აფრინდა და იქვე, ყვავილებით სავსე მინდორზე, ბუერას ფოთოლზე დაიძინა.

მზე კარგად რომ ამოვიდა, ფუტკარს დასცხა და გამოეღვიძა. თვალი რომ გაახილა, შეშინდა; ირგვლივ ყვავილები შემოხვეოდნენ: ფუტკარა, ბუერა, ჩიტისთავა, ვარსკვლავა, ბაია, გვირილა, იელი და კიდევ სხვები.

ხელში ტკბილი წვენით სავსე პატარა ყვავილების გვირგვინები ეჭირათ და მზესავით უცინოდნენ.

- რა ხდება? - იკითხა გაკვირვებულმა ფუტკარმა.

- რამდენი ხანია, ჩვენთან ფუტკრები აღარ მოსულან. დაგინახეთ და გაგვიხარდა, ფუტკრებს ყოველთვის პატივისცემით ვხვდებით. თქვენ ხომ მთელი დღე შრომობთ, თაფლს ამზადებთ.

გახარებულმა ფუტკარმა მადლობა გადაუხადა ყვავილებს და უთხრა:

- გისმენთ და **სიხარულით ვივსები**. რატომ გგონიათ, რომ ამ მინდორზე პატივსაცემი მხოლოდ მე ვარ?... თქვენც მზესავით ლამაზები ხართ, მზის სხივებს, ჩიტებს, პეპლებს ეთამაშებით და დიდ სიკეთეს აკეთებთ; ადამიანები ხომ ყვავილებს წამლად იყენებენ. თქვენ რომ არ იყოთ, მე ხომ თაფლს ვერ დავამზადებდი, უბრალო მწერი ვიქნებოდი, მეტი არაფერი!

ყვავილები შინისაკენ გაფრენილ ფუტკარს **ჟივილ-ხივილით** დაემშვიდობნენ და მიაძახეს:

- არ დაგვივიწყო, გელით!

- ყოველდღე გელით, მზისფერო ფუტკარო!

გუგული ტოგონიძე

12 უპასუხე კითხვებს:

- სად გაფრინდა ფუტკარი ერთ დილით?
- რატომ დალია ტკბილი წვენი?
- რა დაემართა შემდეგ?
- როდის გამოეღვიძა და რატომ შეშინდა?
- რა უთხრეს ყვავილებმა გამოღვიძებულ ფუტკარს?
- რატომ მიართვეს ყვავილების გვირგვინები?
- რა უპასუხა გახარებულმა ფუტკარმა?

13 ჩასვი წინადადებაში შესაბამისი სიტყვა:

მზისფერი, ძილი მოერია, მადლობა.

ერთ დილით ..... ფუტკარი ყვავილების საძებნელად შორს გაფრინდა.

ფუტკარმა ტკბილი წვენი დალია და .....

გახარებულმა ფუტკარმა ..... გადაუხადა ყვავილებს.

14 დააკავშირე არსებითი სახელი ზმნასთან:

ფუტკარი	ამოვიდა
მზე	დავკრიფე
ყვავილები	გაფრინდა

15 **დააკავშირე არსებითი სახელი ზედსართავ სახელთან:**

ფუტკარი	ყვითელი
ყვავილები	მზისფერი
იელი	ტკბილი
თაფლი	ლამაზი

16 **მოცემული სიტყვებისგან შეადგინე წინადადებები:**

ნიმუში: *ფუტკარი, გაფრინდა, შორს, მზისფერი.*

მზისფერი ფუტკარი შორს გაფრინდა.

ა) ყვავილები, დავკრიფე, ლამაზი, მინდორში.

.....

ბ) ტკბილი, დაამზადა, თაფლი, ფუტკარმა.

.....

17 **გაიხსენე ყვავილების სახელები ტექსტიდან და გამოიცანი, რომელი სახელი არ იყო ტექსტში:**

ფუტკარა, ბუერა, ჩიტისთავა, ვარდი, ვარსკვლავა, ბაია, გვირილა, იელი.

18 სიტყვების თამაში:

დააკვირდი სიტყვების დაბოლოებებს - როგორ ცვლის სიტყვის მნიშვნელობას ერთი ასოს შეცვლა.

ფუტკარი - მწერი

ფუტკარა - ყვავილი

19 სწორია თუ არასწორი?

	✓	✗
ფუტკარი არის მწერი.		
იელის ყვავილს ყვითელი ფერი აქვს.		
ფუტკარა არის მწერი.		
ფუტკარმა ბუერას წვენი დალია.		
ყვავილებს წამლად იყენებენ.		
ფუტკარმა ბუერას ფოთოლზე დაიძინა.		

20 ტექსტთან ხელახლა დაბრუნება:

- გაიხსენე, როგორ დაემშვიდობნენ ერთმანეთს ფუტკარი და ყვავილები?
- როგორი ყოფილა ფუტკარი? ყვავილები?
- ხომ არ წაგიკითხავს ან გინახავს სადმე მსგავსი ამბავი?

21 **როლური თამაში:**

1. მოირგე ფუტკრის როლი და გადმოეცი, რა მოხდა მინდორში.
2. გაინაწილეთ როლები (მთხრობელი, ფუტკარი, ყვავილები) და გაითამაშეთ.
3. გაითამაშეთ ფუტკრისა და ყვავილების დიალოგი.

22 **შექმენი კომიქსი:**

დააკვირდი კომიქსის ნიმუშს. წარმოიდგინე, რომ მეორე დღეს ფუტკარი სხვა ყვავილებთან გაფრინდა და უამბო, რა მოხდა მინდორში. ჩაწერე ფუტკრისა და ყვავილების დიალოგი.

კომიქსის ნიმუში

მიშველეთ.
გამათავისუფლეთ!
ახლავე.
გაგათავისუფლებ!
გმადლობ, თაგვნიან!
ან მეგონა, ამას თუ შეძლებდა!
აი, ხომ ხედავ,
პატარა თაგვსაც შეძლებია
დიდი ლომის დახმარება!



23 დაწერე წერილი:

დააკვირდი წერილის ნიმუშს. წარმოიდგინე, რომ ფუტკარმა თავის მეგობრებს წერილი მისწერა და უამბო, რა მოხდა მინდორში.

გაიხსენე, რომ წერილი იწყება მისალმებით; ძირითად ნაწილში მთავარ პატარა ამბავს ვწერთ და ბოლოს წერილი მთავრდება დამშვიდობებით.

წერილის ნიმუში:



ხელოვნება

ლექსიკა: კონტური, განწყობა, კოლორიტი, ცივი და თბილი ფერები.

1 **რა ფერის არის ფუტკარი?**

ა) ყვითელი და შავი

ბ) ყვითელი, შავი და თეთრი

გ) წითელი, ყვითელი და შავი

2 **მოცემული გაქვს ყვავილისა და ფუტკრის კონტურული გამოსახულება. გააფერადე:**



3 **ჩაწერე, რომელი ფერები გამოიყენე:**

4 **დააჯგუფე სიტყვები შინაარსის მიხედვით:**

ბნელი, მხიარული, მუქი, თბილი, სევდიანი, ცივი, ნათელი, ღია.

ეს სიტყვები ფერებს ახასიათებს და განწყობას ქმნის.

5 **დააკვირდი სურათებს და უპასუხე კითხვებს:**

	■ რა განწყობას გიქმნის ნამუშევარი? ■ მონიშნე, რომელ სიტყვებს შეუსაბამებდი ნახატს: **მოწყენილი, თბილი, მხიარული, მზიანი.**
ვინსენტ ვან გოგი, ტირიფები მზის ჩასვლისას	ფერებს, რომლებიც სითბოს და მზის განწყობას გვიქმნის, **თბილი ფერები** ეწოდება.

	■ რა განწყობას გიქმნის ნამუშევარი? ■ მონიშნე, რომელ სიტყვებს შეუსაბამებდი ნახატს: **მოწყენილი, თბილი, სევდიანი, ცივი.**
კლოდ მონე, კაჭკაჭი	ფერებს, რომლებიც სიცივეს და ზამთარს გვახსენებს, **ცივი ფერები** ეწოდება.

ფერწერაში ფერების ერთობლიობას **კოლორიტს** უწოდებენ.

წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი
თბილი ფერებია.

ლურჯი, ცისფერი, იისფერი
ცივი ფერებია.

6 **დააკვირდი ფერთა ბორბალს და ჩასვი გამოტოვებული სიტყვები:**

თბილი, ცივი, კოლორიტი.



1. წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი ..... ფერებია.
2. მწვანე, ლურჯი, იასამნისფერი ..... ფერებია.
3. ფერწერაში ფერების ერთობლიობას ..... ეწოდება.

7 აირჩიე დავალება:

1. შექმენი ნახატი, რომელშიც გამოიყენებ თბილ ან ცივ ფერებს. ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე შენ მიერ შერჩეულ ფერებზე - რა მნიშვნელობა აქვს მათ? როგორ განწყობას ქმნის ეს ფერები?

2. იმუშავეთ ჯგუფურად და შექმენით ნამუშევარი, რომელშიც იქნება მინდორი, ყვავილები და ფუტკრები. გაინაწილეთ სამუშაო - გააკეთეთ კონტურები, გააფერადეთ, შემდეგ ამოჭერით და დააწებეთ ერთ ფორმატზე. ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრეთ ფერებსა და განწყობაზე.

3. ფერად ფურცლებზე მოხაზე ფუტკრის, ყვავილებისა და ხეების კონტურები. შემდეგ გააფერადე და გამოჭერი ფორმები. გაანაწილე ისინი ერთ ფორმატზე, შესაბამის ადგილებზე. შეგიძლია გამოიყენო მზა ფორმებიც.

ბუნებისმეტყველება

1 **გააფერადე სურათი და მიუწერე ფუტკრის სხეულის ნაწილებს შესაბამისი სახელები:**

თავი, მკერდი, მუცელი, ფრთა, ფეხი.



2 **წაიკითხე ტექსტი და შეავსე ცხრილი:**

მდინარის პირას მინდორი სავსეა ყვავილებით. მსუბუქი ნიავი ნაზად არხევს ბალახებსა და ყვავილებს და ჰაერში ტკბილი სურნელი ტრიალებს. ფუტკრები ყვავილებიდან ნექტარს იღებენ. მიწას მზის სხივები ეფინება.

ცოცხალი	**არაცოცხალი**
ყვავილები	მდინარე
	ნიავი

3 **ამოარჩიე ყველა სწორი პასუხი:**

ფუტკარი ყვავილებიდან იღებს ნექტარს და ამზადებს: თაფლს, ნაყინს, ცვილს, მტვერს, კომპოტს, რძეს.

4 **მოეხმარე „ბზუილას“, იპოვოს თავისი სახლი!**

სკა

ბუდე

სახლი

სორო

5 **გამოიყენე ყვავილების სახელები და შეავსე კროსვორდი:**

ბუერა, ფუტკარა, ვარსკვლავა, ჩიტისთავა, იელი, ბაია, გვირილა.



6 წაიკითხე:

ცოტა რამ მწერების შესახებ

მწერები ცხოველთა სამყაროს ყველაზე მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები არიან. ცნობილია მწერების მილიონამდე სახეობა. ბევრი მათგანი ადამიანისთვის სარგებლის მომტანია, ბევრი კი - მავნებელი.

სასარგებლო მწერია ფუტკარი. მისი **სხეული** დაყოფილია სამ ნაწილად: **თავი, მკერდი, მუცელი**. მდედრ ფუტკარს მუცლის ბოლოზე აქვს კვერცხსადები, მუშა ფუტკარს კი - ნესტარი. თითოეულ **სკაში** (ფუტკრის სახლში) ფუტკრის ერთი ოჯახია განთავსებული. ოჯახში მხოლოდ ერთი **დედა** ფუტკარია, ბევრი მამრი ფუტკარი და უფრო მეტი მუშა ფუტკარი. მუშა ფუტკრებიც იგივე დედა ფუტკრები არიან, მაგრამ მათ **კვერცხსადები** ნესტრად აქვთ გადაქცეული და მათი **ძირითადი ფუნქცია** თაფლის გამომუშავებაა.

გარდა ყვავილის **ნექტრისა, ისინი ყვავილის მტვერსაც აგროვებენ** და სკაში გადააქვთ. მამრი ფუტკრები ნექტარს არ აგროვებენ და თაფლსაც არ გამოიმუშავებენ. ყვავილობის სეზონის დამთავრებისას მუშა ფუტკრები ხოცავენ მამრ ფუტკრებს, რათა საკვების მარაგი უფრო სასარგებლოდ გამოიყენონ.

7 ჩაწერე წინადადებაში გამოტოვებული სიტყვები:

ა. ფუტკარი ..... აგროვებს ..... და გვიმზადებს ტკბილ ..... .

ბ. ფუტკრის ოჯახი ..... ცხოვრობს; აქ არის მხოლოდ ერთი ..... ფუტკარი და ძალიან ბევრი ..... ფუტკარი.

8 რომელ ფუტკარს აქვს ნესტარი?

ა) დედა ფუტკარს

ბ) მუშა ფუტკარს

გ) მამრ ფუტკარს

დ) ყველა ფუტკარს

9 **უპასუხე კითხვებს:**

ა. რა არის მუშა ფუტკრის ძირითადი ფუნქცია?

ბ. რატომ ხოცავენ მუშა ფუტკრები მამრ ფუტკრებს ყვავილობის სეზონის დამთავრებისას?

10 **დააკვირდი სურათს და შეავსე ცხრილი:**

მწერი			
სხეულის ნაწილები			
ულვაშების რაოდენობა			
ფეხების რაოდენობა			
ფრთები			

მათემატიკა

ფუტკარი თაფლს ინახავს **ფიჭაში**	**ფიჭა**
ფიჭის უჯრებს **ექვსკუთხედის** ფორმა აქვს	**ექვსკუთხედი** 
კუთხე	კუთხე კუთხე კუთხე

1 **რამდენი გვერდი და რამდენი წვერო აქვს ექვსკუთხედს?**

☐ გვერდი

☐ წვერო

2 **რამდენი გვერდი და რამდენი წვერო აქვს თითოეულ ოთხკუთხედს?**

ა)

☐ გვერდი

☐ წვერო

ბ)

☐ გვერდი

☐ წვერო

გ)

☐ გვერდი

☐ წვერო

3 **რამდენი გვერდი და რამდენი წვერო აქვს თითოეულ სამკუთხედს?**

ა)

☐ გვერდი

☐ წვერო

ბ)

☐ გვერდი

☐ წვერო

4 **ივარაუდე, რამდენი გვერდი და რამდენი წვერო ექნება რვაკუთხედს? ათკუთხედს?**

ა)

☐ გვერდი

☐ წვერო

ბ)

☐ გვერდი

☐ წვერო

5 ორიგამი - გავაკეთოთ ფუტკარი ქაღალდისგან:



6 **ორი ფიგურის შეერთებით შეიძლება მივიღოთ ახალი ფიგურა:**

7 **ფერების მიხედვით დაასახელე თითოეული ფიგურა:**

8 **დაამზადე ფერადი ფურცლებისგან მოცემული ფიგურები და შემდეგ ააწყვე სხვადასხვა სათამაშო; დაარქვი სახელი თითოეულს:**



პ.ს. იგივე დავალება შეიძლება შესრულდეს ონლაინ.

https://polypad.amplify.com/

ვიდეო ინსტრუქცია

შევისწავლოთ სხვა სივრცული ფიგურები:

<table>
<tr><td>1. ფუტკრების ოჯახი ცხოვრობს სკაში. სკას აქვს კუბის ან მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმა</td><td> </td></tr>
<tr><td>კუბი
 
</td><td>შლილი
  </td></tr>
<tr><td>მართკუთხა პარალელეპიპედი (მართი პრიზმა)
 
</td><td>შლილი
  </td></tr>
</table>

სარეკომენდაციო აქტივობა:

გავიხსენოთ ჩვენთვის ნაცნობი **სივრცული ფიგურები:** 1. პრიზმა, მართკუთხა პარალელეპიპედი, კუბი, პირამიდა - მრავალწახნაგებია; 2. ცილინდრი, კონუსი, ბირთვი - არის ბრუნვითი სხეულები, არ არის მრავალწახნაგები.	**მრავალწახნაგა** პრიზმა პირამიდა **არ არის მრავალწახნაგა** ცილინდრი კონუსი ბირთვი

პირამიდა 	შლილი 	

ბრუნვითი სხეულები:

ცილინდრი 		
ბირთვი 		
კონუსი 		

სავარჯიშოები:

9	დახაზე და აღწერე თითოეული გეომეტრიული ობიექტი: რამდენი წვერო, გვერდი და წახნაგი აქვს თითოეულ გეომეტრიულ ობიექტს? 
10	შეუსაბამე ფიგურებს შლილები და დაამზადე თითოეული მათგანი: 

ვიდეო ინსტრუქცია

11 **დაასახელე, რომელი ფიგურის ფორმა აქვს თითოეულ ობიექტს?**

ორიგამები

შედი ბმულზე, ამოირჩიე ფიგურა და გააკეთე შესაბამისი ობიექტი ქაღალდისგან!

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲘ

2

ᲓᲝᲜᲔ 1

ქართული ენა

1 **ყურადღებით დააკვირდი სურათებს და მონიშნე, რომელი დღესასწაულია მათზე გამოსახული:**

ა) დაბადების დღე ბ) ახალი წელი

2 **კიდევ რომელ დღესასწაულს აღვნიშნავთ ზამთარში?**

ა) შობას ბ) აღდგომას

3 **რას ნიშნავს შობა?**

ა) იესო ქრისტეს დაბადებას ბ) სანტა კლაუსის სტუმრობას გ) საჩუქრების ჩუქებას

4 **რომელია სწორი ფორმა?**

ა) შობაზე ზღაპარი ბ) საშობაო ზღაპარი გ) შობისთვის ზღაპარი

5 **დააკვირდი და დაიმახსოვრე:**

ავადმყოფი

სა - ავადმყოფ - ო

ექიმი

სა - ექიმ - ო

6 **შეავსე ცხრილი ნიმუშის მიხედვით:**

საგანი	რა დანიშნულება აქვს
შობა	*სა - შობა- ო*
სადილი	
მაგიდა	
ზაფხული	
ზამთარი	
ზღვა	

7 **სიტყვები დაუკავშირე ნახატებს:**

საშობაო ყვავილი	საშობაო საჩუქარი	საშობაო ორცხობილა	საშობაო სუფრა

8 **დაასრულე წინადადებები:**

ნიმუში: ***საშობაო სუფრა*** *ლამაზად არის გაწყობილი.*

1. გოგონას საშობაო საჩუქარი .....

2. საშობაო ყვავილი წითელი .....

3. ბებიამ გემრიელი საშობაო ორცხობილა .....

9 **წაიკითხე სიტყვების განმარტებები და დაუკავშირე ნახატებს:**

1 2 3 4

მღვიმე - გამოქვაბული ☐

ჩურჩული - ჩუმად ლაპარაკი ☐

კენწერო - ხის ყველაზე მაღალი ნაწილი; წვერი ☐

ბრწყინვალე ვარსკვლავი - განათებული ვარსკვლავი ☐

10 დაიმახსოვრე სიტყვები:

უბრალო - ჩვეულებრივი

მორთვა - გალამაზება, გამშვენიერება

ნაღვლიანი - მოწყენილი

11 სიტყვები სწორი ფორმით ჩასვი წინადადებებში:

ნიმუში: *ბავშვებს ძალიან უყვართ ნაძვის ხის მორთვა.*

მორთვა	მოვრთო

მე მიყვარს ნაძვის ხის .....

ჩემი ნაძვის ხე ლამაზად უნდა .....

12 დააკვირდი ნახატს; გაიხსენე ჰორიზონტის მხარეები:

13 **წაიკითხე ტექსტი:**

- გაიხსენე, ზღაპრებში ნამდვილი ამბავია გადმოცემული თუ მოგონილი?
- ხომ არ წაგიკითხავს საშობაო ზღაპარი ან ხომ არ გინახავს ფილმი?
- დააკვირდი ილუსტრაციებს და სათაურს.
- შენი აზრით, რა მოხდება ზღაპარში?

საშობაო ზღაპარი

პატარა იესო რომ დაიბადა, მის სანახავად ზეციდან ანგელოზები ჩამოვიდნენ; დაინახეს **უბრალო მღვიმე** და დაიწყეს ერთმანეთში ჩურჩული:

- იესოს უბრალო მღვიმეში ძინავს. უნდა **მოვრთოთ** აქაურობა, რაც შეიძლება მდიდრულად, ლამაზად.

და აი, ერთი ანგელოზი გაფრინდა თბილი სამხრეთისაკენ, დაკრიფა სისხლივით წითელი ვარდები, თოვლივით თეთრი ზამბახები, ულამაზესი მაგნოლიები, ყვითელი ლოტოსი და მღვიმეში მიიტანა.

მეორე ანგელოზი კი ჩრდილოეთისკენ გაფრინდა. იქ იმ დროს ზამთარი იყო და ერთი ყვავილიც ვერ იპოვა. უცებ თვალი მოჰკრა ერთ მწვანე ხეს და გადაწყვიტა, თან წამოეღო ჩრდილოეთის უბრალო მცენარე, რომ მასაც ენახა პატარა იესო.

მღვიმე ყვავილებით მოირთო. პატარა ნაძვის ხე პირველად ხედავდა ამისთანა მშვენიერ ყვავილებს და **ნაღვლიანად** ამბობდა:

- ოჰ, რატომ ვარ ასე უბრალო და ულამაზო? მე ვერ გავალამაზებ აქაურობას ამ დიდებულ დღესასწაულზე.

როცა იესოს დედამ, მარიამმა, დაინახა, შეეცოდა ნაძვის ხე და ხელი გააქნია. მაშინ მოხდა სასწაული. ზეციდან ქვემოთ წამოვიდა **ბრწყინვალე ვარსკვლავი** და ნაძვის ხის **კენწე-**

როზე დაბრძანდა. მას თანდათან მოჰყვნენ სხვა ვარსკვლავებიც. უცებ განათდა და გამ-ხიარულდა მღვიმე.

გამოეღვიძა პატარა იესოს და განათებულ ნაძვის ხეს სიცილით ხელები გაუწოდა.

ყვავილები გაკვირვებულები უყურებდნენ ერთმანეთს და ამბობდნენ:

- რა მშვენიერი და რა ლამაზი გახდა ეს ხე, ჩვენ გვჯობია!

ბედნიერი ნაძვის ხე მადლობას უხდიდა იესოს დედას, კეთილ მარიამს.

ამის შემდეგ ყოველ წელს, შობას, ხალხი თავისი პატარა ბავშვებისთვის ნაძვის ხეს რთავს.

ლეგენდა. ჟურნალი „კარიბჭე“ (07.01.2010)

14 უპასუხე კითხვებს:

- რა გადაწყვიტეს ანგელოზებმა?
- საით გაფრინდა ერთი ანგელოზი?
- რა მოიტანა მღვიმის მოსართავად?
- საით გაფრინდა მეორე ანგელოზი?
- რა მოიტანა მან?
- რატომ იყო ნაძვის ხე ნაღვლიანი?
- რას ამბობდა ის?
- რა გააკეთა იესოს დედამ, მარიამმა?
- სად დაბრძანდა ბრწყინვალე ვარსკვლავი?
- რას აკეთებს ხალხი ყოველ წელს, შობას?

15 დააკვირდი სურათებს და დაასახელე ყვავილების სახელები:

ვარდი

ზამბახი

ლოტოსი

მაგნოლია

- შენი აზრით, რას ნიშნავს სისხლივით წითელი?
- გაიხსენე, რა არის კიდევ სისხლივით წითელი?
- რას ნიშნავს თოვლივით თეთრი?
- გაიხსენე, რა არის კიდევ თოვლივით თეთრი?

16 **გაიხსენე ტექსტი და შეასრულე სავარჯიშო ნიმუშის მიხედვით:**

სისხლივით წითელი	მაგნოლიები
თოვლივით თეთრი	ლოტოსი
ულამაზესი	ზამბახები
ყვითელი	ვარდები

17 **ყურადღებით წაიკითხე კითხვები და შეარჩიე სწორი პასუხები:**

როგორი იყო მღვიმე, რომელშიც იესო დაიბადა?	როგორი გახდა მღვიმე ზღაპრის ბოლოს?
ა) უბრალო ბ) ლამაზად მორთული	ა) დიდი ბ) განათებული და მხიარული
როგორი იყო ნაძვის ხე, როცა ანგელოზმა მღვიმეში მოიტანა?	**როგორი გახდა ნაძვის ხე ზღაპრის ბოლოს?**
ა) მხიარული ბ) ნაღვლიანი	ა) გაბრაზებული ბ) ბედნიერი

18 **დააკვირდი ნახატებს, წაიკითხე და იპოვე წინადადება, რომელიც ტექსტში არ არის:**

ა) ერთმა ანგელოზმა ულამაზესი ყვავილები დაკრიფა და მღვიმეში მოიტანა.

ბ) მეორე ანგელოზმა ყვავილები ვერ იპოვა და ჩრდილოეთის უბრალო მცენარე წამოიღო, რომ მასაც ენახა პატარა იესო.

გ) მესამე ანგელოზმა საყვირს ჩაჰბერა და საშობაო მელოდია დაუკრა.

19 **დაიმახსოვრე!**

თანდებული **-კენ** გვიჩვენებს მიმართულებას:

ოთახის**კენ**, მდინარის**კენ**, სკოლის**კენ**.

თანდებული **-დან/იდან** განსაზღვრავს ადგილს:

ზეც**იდან**, ქალაქ**იდან**, სოფლ**იდან**.

20 **ჩასვი სიტყვები სწორი ფორმით:**

ნიმუში 1: *ერთი ანგელოზი (სამხრეთი) სამხრეთისა**კენ** გაფრინდა, რომ ყვავილები დაეკრიფა.*

1. ჩიტმა დიდხანს იფრინა და ბოლოს (ჩრდილოეთი) ..... გაფრინდა.

2. ბავშვები ფეხბურთის თამაშით დაიღალნენ და (სახლი) ..... წავიდნენ.

3. მოგზაურებმა ჩემოდნები ჩაალაგეს და (აეროპორტი) ..... გაემგზავრნენ.

4. ბიჭს კარის დაკეტვა დაავიწყდა და ისევ (სამსახური) ..... გააგრძელა გზა.

5. გიორგიმ თვალები გაახილა და (ტელევიზორი) ..... შებრუნდა.

ნიმუში 2: *იესო რომ დაიბადა, მის სანახავად ანგელოზები (ზეცა) ზეცი**დან** ჩამოვიდნენ.*

1. ბებია შვილიშვილების სანახავად (მთა) ..... ქალაქში ჩამოვიდა.

2. გოგონამ (ჩანთა) ..... ნამცხვარი ამოიღო და მეგობრებს გაუნაწილა.

3. ბიჭი (მანქანა) ..... სწრაფად გადმოვიდა და მდინარისკენ გაეშურა.

4. ბავშვები ჟივილ-ხივილით გამოვიდნენ (სკოლა) ..... და სახლისკენ გაიქცნენ.

5. ტურისტები (ამერიკა) ..... საქართველოს დასათვალიერებლად ჩამოვიდნენ.

21 **დააკვირდი და დაიმახსოვრე - ორივე ფორმა სწორია:**

1. გოგონა სახლისკენ წავიდა.
2. გოგონა სახლისაკენ წავიდა.

სკოლა	სკოლისკენ	სკოლისაკენ
სახლი	სახლისკენ	სახლისაკენ
მდინარე	მდინარისკენ	მდინარისაკენ

22 **ნიმუშის მიხედვით დააკავშირე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები:**

ლამაზი	ძლიერ
დაბლა	პაპა
ძალიან	მშვენიერი
ბაბუა	ზევით
მაღლა	ქვევით

23 **ნიმუშის მიხედვით დააკავშირე საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები:**

კეთილი	ყოჩაღი
ლამაზი	ღარიბი
დაბალი	უშნო
ზარმაცი	მაღალი
მდიდარი	ბოროტი

24 **დაიმახსოვრე:**

ბავშვს თავზე თმა აქვს

ის არის **თმიანი**

ბავშვს თავზე თმა არ აქვს

ის არის **უთმო**

25 **შეასრულე სავარჯიშო ნიმუშის მიხედვით:**

საგანი	აქვს	არ აქვს
თმა	თმიანი	უთმო
ფული	ფულიანი	უფულო
სათვალე		
მარილი		
გული		
თავი		

დააკვირდი: რასაც არ აქვს სილამაზე, არის ულამაზო.

26 **გაიხსენე, ვინ ამბობს ზღაპარში, რომ ულამაზოა?**

ა) ყვავილი

ბ) ანგელოზი

გ) ნაძვის ხე

27 **გააგრძელე მონაკვეთები, აღწერე ნახატები და გადმოეცი პატარა ამბავი:**

აღწერისას გამოიყენე ადგილის, მდებარეობის (მარჯვნივ, მარცხნივ, ზევით, ქვევით), საგნების ფერების, ფორმის, სურნელის, გარეგნობის, თვისებების გამომხატველი სიტყვები.

	1-ელი მონაკვეთი: იესო ქრისტე უბრალო მღვიმეში დაიბადა...

	მე-2 მონაკვეთი: ანგელოზებმა გადაწყვიტეს, რომ მღვიმე მოერთოთ...
	ერთი ანგელოზი გაფრინდა სამხრეთისაკენ, რომ რაიმე ეპოვა მღვიმის მოსართავად...
	მეორე ანგელოზი კი ჩრდილოეთისკენ გაფრინდა. იქ იმ დროს ზამთარი იყო და...
	მე-3 მონაკვეთი: ნაძვის ხე ფიქრობდა, რომ ულამაზო იყო, მაგრამ იესოს დედამ, მარიამმა...
	მე-4 მონაკვეთი: განათდა და გამხიარულდა მღვიმე, ყვავილები გაკვირვებულები უყურებდნენ ერთმანეთს და...

28 შეგიძლია წაიკითხო, როგორ აღნიშნავენ ქართველები იესო ქრისტეს შობას

საქართველოში შობას 7 იანვარს აღვნიშნავთ. ეს არის განსაკუთრებული დღე, რადგან იესო ქრისტე დაიბადა. ის ძალიან კეთილია და ყველას ეხმარება. შობის ღამეს ყველა ცდილობს, რომ ეკლესიაში წავიდეს.

ქართველებს აქვთ საშობაო ტრადიციები:

	სანთელი ფანჯარაში შობის ღამეს ყველა ოჯახი ფანჯარაში ანთებულ სანთელს დგამს.
	საშობაო ყვავილი ოჯახში საშობაო ყვავილი უნდა იყოს, ის ვარსკვლავს ჰგავს და ძალიან ლამაზია.
	საშობაო ორცხობილა ბავშვების საყვარელი ნუგბარი (დესერტი) საშობაო ორცხობილა, რომელიც ჯანჯაფილით მზადდება.
	საშობაო ღვეზელი ყველა ოჯახში გაშლილია სადღესასწაულო სუფრა. ცხვება გემრიელი საშობაო ღვეზელი, რომელსაც ყველით და კვერცხით ამზადებენ.

	საშობაო საჩუქრები ოჯახის წევრები ერთმანეთს და ახლობლებს შობას საჩუქრებით ულოცავენ.
	ალილო ქართველები „ალილოს“ სიმღერით მოივლიან ქუჩებს. ტრადიციის მიხედვით, შობის დღესასწაულზე გაჭირვებულებს ეხმარებიან - აგროვებენ, ვისაც რა შეუძლია და შემდეგ შეგროვებულ პროდუქტს და ნივთებს უნაწილებენ მათ, ვისაც სჭირდება.

შეგიძლია მოუსმინო ვიდეობმულებს:

სიმღერა „ალილო“

საშობაო იგავი

29 შექმენი ტექსტი:

გაიხსენე და ნიმუშის დახმარებით დღიურში ჩაწერე, როგორ აღნიშნე შობის დღესასწაული წელს. შეგიძლია, სხვა წინადადებებიც დაამატო.

გაითვალისწინე, რომ დღიურის ჩანაწერში უნდა ჩანდეს:

- თარიღი, როდესაც ეს ჩანაწერი გააკეთე.
- შენი ფიქრები, ემოციები, შთაბეჭდილებები.
- მრავალფეროვანი სიტყვები და წინადადებები.

დღიურის ჩანაწერის ნიმუში:



დღეს შობაა. ამ დღეს ჩვენთან ყოველ წელს სტუმრები მოდიან. გუშინ დედამ ჯერძები მოამზადა, მამამ - გემრიელი წვენი. ბებიამ კი ჯანჯაფილის ორცხობილები გამოაცხო. მთელ სახლში სასიამოვნო სურნელი ტრიალებდა.

საღილზე სტუმრები მოვიდნენ. შემდეგ ყველანი მაგიდასთან დავსხედით და გემრიელად მივირთვით, ვიმღერეთ, ვიცეკვეთ და ჯარგად ვიმხიარულეთ. ბოლოს ერთმანეთს ჯეთილი სურვილებით დავემშვიდობეთ.

7 იანვარი, 2024 წელი, თბილისი.

ხელოვნება

ლექსიკონი: ძერწვა, ორიგამი.

1 **უპასუხე კითხვებს:**

- რომელია შენი საყვარელი დღესასწაული?
- როგორ აღნიშნავ მას?
- შენი აზრით, რომელი დღესასწაულია გამოსახული სურათზე?

ა) შობა ბ) აღდგომა გ) ახალი წელი

საქართველოში შობას განსაკუთრებულად აღნიშნავენ. ამ დღეს იესო ქრისტე დაიბადა. სწორედ ამიტომ საზეიმო სამზადისი ადრიდანვე იწყება. შობის ღამეს ყველა ოჯახი ანთებულ სანთელს დგამს ფანჯარაში, აცხობს ორცხობილებს, რთავს ნაძვის ხეს; ადამიანები ჩუქნიან ერთმანეთს საჩუქრებს.

იცი, რა არის ჩიჩილაკი?

ჩიჩილაკს ქართულ ნაძვის ხეს უწოდებენ. მას საახალწლოდ რთავენ. ჩიჩილაკი წმინდა ბასილის სახელთან არის დაკავშირებული და მას „ბასილის ფაფუკ წვერსაც“ უწოდებენ. 14 იანვარი წმინდა ბასილი დიდის ხსენების დღეა.

არჩევითი აქტივობები

ახალი წელი წარმოუდგენელია მორთული ნაძვის ხის გარეშე. სცადე და საკუთარი ხელით გააკეთე ნაძვის ხე. ამისათვის შეგიძლია გამოიყენო ფერადი ქაღალდი, წებო, მაკრატელი, მძივები, ღილები, ქსოვილი, ფანქრის ბურბუშელა.



2 **წაიკითხე ნაწყვეტი მოთხრობიდან საშობაო „ზღაპარი“. შეეცადე წარმოიდგინო, როგორი გარემო იქნებოდა მღვიმეში.**

3 **დახატე „საშობაო ამბავი“, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ქრისტეს შობის ადგილი.**

„მღვიმე ყვავილებით მოირთო. პატარა ნაძვის ხე პირველად ხედავდა ამისთანა მშვენიერ ყვავილებს და **ნაღვლიანად** ამბობდა:

- ოჰ, რატომ ვარ ასე უბრალო და ულამაზო? მე ვერ გავალამაზებ აქაურობას ამ დიდებულ დღესასწაულზე.

როცა იესოს დედამ, მარიამმა, დაინახა, შეეცოდა ნაძვის ხე და ხელი გააქნია. მაშინ მოხდა სასწაული. ზეციდან ქვემოთ წამოვიდა **ბრწყინვალე ვარსკვლავი** და ნაძვის ხის **კენწეროზე** დაბრძანდა. მას თანდათან მოჰყვნენ სხვა ვარსკვლავებიც. უცებ განათდა და გამხიარულდა მღვიმე...

ბედნიერი ნაძვის ხე მადლობას უხდიდა იესოს დედას, კეთილ მარიამს.

ამის შემდეგ ყოველ წელს, შობას, ხალხი თავისი პატარა ბავშვებისთვის ნაძვის ხეს რთავს“.

4 **უყურე მიხეილ ალდაშინის ნახატ ფილმს „შობა“:**

- შენი აზრით, რამდენად კარგად გადმოსცემს ავტორი ნახატებით შობის ამბავს?
- რომელი ნაწილი მოგეწონა ყველაზე მეტად?

ძერწვა - რბილი მასალისგან სხვადასხვა ფიგურის კეთება.
ორიგამი - ქაღალდისგან სხვადასხვა ფიგურების კეთება.

5 **ფილმში უკვე ნახე, როგორ გამოიყურება ანგელოზი. მას აქვს ფრთები. გამოიყენე პლასტილინი ან თიხა და შეეცადე გამოძერწო ანგელოზი, ან შექმენი ის ქაღალდისგან. შეგიძლია ის ნაძვის ხის სათამაშოდ აქციო.**

6 **წარმოდგენისას ისაუბრე, როგორ ჩააცვი მას, როგორი ფორმა აქვს? ზუსტად ის გამოგივიდა, რაც ჩაიფიქრე?**

ბუნებისმეტყველება

დედამიწის რელიეფი

1 **გაუკეთე სურათებს შესაბამისი წარწერები:**

ველი; ბორცვი; მთა; მყინვარი; მღვიმე; გამოქვაბული; ვაკე; ხეობა.

ხმელეთის ზედაპირის, ოკეანისა და ზღვის ფსკერის უსწორმასწორობათა ერთობლიობას **<u>რელიეფი</u>** ეწოდება. ხმელეთის რელიეფის ყველაზე გავრცელებული ფორმებია მთები და ვაკეები.

<u>ვაკეს</u> უწოდებენ დედამიწის სწორ, გაშლილ, ბრტყელ ზედაპირს. ზოგი ვაკე ტყიანია,ზოგი - ბუჩქებითაა დაფარული. მოსახლეობის დიდი ნაწილი ვაკეზე ცხოვრობს; გაშენებულია ქალაქები და სოფლები, გაყვანილია გზები. საქართველოში დიდი ვაკეებია: კოლხეთის დაბლობი, შიდა ქართლის ვაკე და შირაქის დაბლობი.

მიწის ზედაპირზე ცალკე აღმართულ გორაკს **<u>ბორცვი</u>** ეწოდება. ბორცვი მაღალია, მაგრამ შეგვიძლია მასზე ადვილად ავიდეთ და გარშემოც იოლად შემოვუაროთ.

დედამიწის ზედაპირზე ძალიან ამაღლებულ ადგილს **<u>მთას</u>** უწოდებენ. მთების **კლასიფიკაცია** ხდება სიმაღლის მიხედვით - დაბალი, საშუალო და მაღალი მთები.

ყველა სახის მთას აქვს **სამი საერთო მახასიათებელი**: ძირი / ფუძე, საიდანაც მთა იწყება, წვერო / მწვერვალი - მთის ყველაზე მაღალი წერტილი და კალთები - მთის მწვერვალიდან მთის ძირამდე დაშვებული ფერდობები. კალთები ორგვარია: ციცაბო და დამრეცი. ციცაბო კალთაზე ასვლა მხოლოდ **ალპინისტებს** ანუ **მთამსვლელებს** შეუძლიათ სპეციალური მოწყობილობების დახმარებით, დამრეც კალთაზე ასვლა კი ადვილია; მასზე ხშირად მოსახლეობაცაა დასახლებული.

<u>მღვიმე</u> წარმოიქმნება დედამიწის ქერქის ზედა ფენაში; მის წარმოქმნას ხელს უწყობს წყალში ხსნადი ქანების არსებობა. მღვიმეები მიწის ზედაპირზე გამოდის ხვრელებით. მღვიმეებს შეისწავლიან **სპელეოლოგები**. საქართველოში 1500-მდე დიდი და პატარა მღვიმეა.

<u>გამოქვაბული</u> ეწოდება ადამიანის მიერ კლდეში გამოკვეთილ ღრმულს. გამოქვაბულებს უძველესი ადამიანები სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდნენ: საცხოვრებლად, სალოცავად, პირუტყვის სადგომად და სხვა. საქართველოში ბევრი გამოქვაბულია, მათ შორის ყველაზე ცნობილია ვარძიის ციხე-ქალაქი და უფლისციხე.

<u>ხეობა</u> წარმოიქმნება მდინარის მოქმედების შედეგად; ხეობის ძირი მდინარის კალაპოტს უჭირავს. მთებში ხეობები ვიწროა, ვაკეზე კი - ფართოდ გაშლილი. თბილისი მდინარე მტკვრის ხეობაშია გაშენებული და მისი უმეტესი ნაწილი მთაგორიანია.

2 უპასუხე კითხვებს:

1. რა არის რელიეფი?
2. დაასახელე შენთვის ნაცნობი რელიეფური ფორმები.
3. როგორი რელიეფია შენს რეგიონში?
4. როგორ იყენებენ ადამიანები ველებს?
5. ვის შეუძლია ავიდეს მთის ციცაბო კალთაზე?
6. ჩაწერე შესაბამისი სიტყვა: მღვიმეებს ..... შეისწავლიან.
7. პლასტილინით შექმენი სხვადასხვა რელიეფური ფორმა და წარუდგინე შენს მეგობრებს.
8. რომელი მდინარის ხეობაშია გაშენებული თბილისი?

3 გაიხსენე მონაკვეთი მოთხრობიდან „საშობაო ზღაპარი"

პატარა იესო როცა დაიბადა, მის სანახავად ზეციდან ანგელოზები ჩამოვიდნენ, დაინახეს უბრალო მღვიმე და დაიწყეს ერთმანეთში ჩურჩული: - იესოს უბრალო მღვიმეში სძინავს.

იმსჯელე, რა სხვაობაა მღვიმესა და გამოქვაბულს შორის.

მათემატიკა

ნატურალური რიცხვების გამრავლება

1 **დააკვირდი სურათს და უპასუხე კითხვებს:**



1. **რამდენი** საშობაო ორცხობილაა **თითოეულ სტრიქონში**?
2. **რამდენი სტრიქონია** საშობაო ორცხობილით **შედგენილი**?
3. **რამდენი სვეტი** ორცხობილაა სურათზე?
4. **სულ რამდენი** საშობაო ორცხობილაა?

2 **ჩავწეროთ შეკრების შემცველი გამოსახულების საშუალებით:**

4 + 4 + 4 = 12

ოთხი შესაკრებად სამჯერ აღებული

4 • 3 = 12

I თანამამრავლი | **II თანამამრავლი** | **ნამრავლი**

I თანამამრავლი გვიჩვენებს, რა უნდა შევკრიბოთ

II თანამამრავლი გვიჩვენებს, თუ რამდენია შესაკრები

მაგალითები **გამრავლებაზე** იკითხება სხვადასხვანაირად:

- 4-ისა და 3-ის ნამრავლი უდრის 12-ს
- 4 გამრავლებული 3-ზე უდრის 12-ს
- I თანამამრავლია 4, II თანამამრავლი - 3, ნამრავლია 12
- 4 გადიდებული 3-ჯერ არის 12

ამოცანა - საშობაო ზღაპარი

ერთხელ, შობის წინა ღამეს, ქალაქი, სადაც ყოველთვის თოვდა და ყველაფერი ჯადოსნურად გამოიყურებოდა, საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. შობის ჯადოსნობა თითქმის გაქრა და თუ რაიმე სასწაული არ მოხდებოდა, შობა არ დადგებოდა.

ქალაქის მცხოვრებლებმა მალე შეიტყვეს, რომ პრობლემა უკავშირდებოდა მათ საახალწლო ნაძვის ხეს, რომელიც ქალაქის ცენტრში იდგა და რომლის წვერიდან შობის ვარსკვლავი გამქრალიყო; ამ ვარსკვლავის გარეშე კი შობის დადგომა შეუძლებელი იქნებოდა.

ქალაქის მცხოვრებმა ერთმა პატარა გოგონამ, კესომ, გადაწყვიტა შობის გადარჩენა. ის ფიქრობდა, რომ თუ იპოვიდა შობის ვარსკვლავს, ქალაქს საშობაო ჯადოსნობა დაუბრუნდებოდა. ვარსკვლავის საიდუმლო კი სხვადასხვა მიმართულებით გაბნეულ ხუთ ამოცანაში იყო. კესომ მოაგროვა ყველა ამოცანა:

3 **დავალებები:**

დავალება **1**	სურათზე გამოსახული საგნების ოდენობა წარმოადგინე **შეკრებისა და გამრავლების შემცველი გამოსახულებებით**	2 + 2 + 2 2 • 3 = 6 ორი **შესაკრებად** სამჯერ **აღებული**
დავალება **2**	სურათზე გამოსახული საგნების ოდენობა წარმოადგინე **შეკრებისა და გამრავლების შემცველი გამოსახულებებით**	2 + 2 + 2 + 2 + 2 2 • 5 = 10 ორი **შესაკრებად** ხუთჯერ **აღებული**
დავალება **3**	 **6 • 4 = 24** **4 • 6 = 24** ! დააკვირდი პასუხებს, რა შეგიძლია თქვა მათ შესახებ? ნამრავლი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა	**6 • 4 = 24** **4 • 6 = 24** **თანამამრავლთა გადანაცვლებით ნამრავლი არ იცვლება**
დავალება **4**	რა **კანონზომიერებით** შეიძლება იყოს წარმოდგენილი რიცხვები? 1, 4, 9, 16.	**1 • 1 = 1** **2 • 2 = 4** **3 • 3 = 9** **4 • 4 = 16**
დავალება **5**	ანამ საშობაოდ 6 ორცხობილა გამოაცხო და თითოეული ორცხობილა 4 ალუბლით მორთო. რამდენი ალუბალი გამოიყენა ანამ?	**4 + 4 + 4 + 4 + 4 + 4** ოთხი **შესაკრებად** ექვსჯერ **აღებული** **4 • 6 = 24** **(ალუბალი)**

4 **დაიმახსოვრე:**

როდესაც ერთ-ერთი თანამამრავლი ერთის ტოლია, მაშინ ნამრავლი უდრის მეორე თანამამრავლს.	3 • 1 = 3 1 • 4 = 4
როდესაც ერთ-ერთი თანამამრავლი ნულის ტოლია, მაშინ ნამრავლი უდრის ნულს.	7 • 0 = 0 0 • 9 = 0
გადანაცვლებადობის თვისება - თანამამრავლთა გადანაცვლებით ნამრავლი არ იცვლება	6 • 5 = 30 5 • 6 = 30

განმარტება!

კანონზომიერება - მოვლენის განვითარების ლოგიკურობა, ბუნებაში არსებული წესრიგის შესაბამისობა.

რიცხვის ჯამზე გამრავლების თვისება (განრიგებადობის თვისება) - რიცხვის ჯამზე გამრავლებისას, ეს რიცხვი უნდა გავამრავლო თითოეულ შესაკრებზე და მიღებული ნამრავლები შევკრიბოთ

3 • (4 + 5) = 3 • 4 + 3 • 5
3 • 9 = 12 + 15
27 = 27

3 • (4 + 5 + 2) = 3 • 4 + 3 • 5 + 3 • 2
3 • 11 = 12 + 15 + 6
33 = 33

კესომ ყველა დავალების პასუხი სწრაფად მიიტანა ნაძვის ხესთან და შობის ვარსკვლავიც გამოჩნდა ხის წვერზე. ქალაქი შობის ჯადოსნობამ აავსო.

5 ტესტები:

1. ნებისმიერი რიცხვის ნულზე გამრავლებისას მიიღება

ა) ერთი

ბ) იგივე რიცხვი

გ) ნული

დ) სამი

2. ნებისმიერი რიცხვის ერთზე გამრავლებისას მიიღება

ა) ერთი

ბ) იგივე რიცხვი

გ) ნული

დ) სამი

3. რომელი ვარიანტი შეესაბამება ჩანაწერს 7+7+7+7+7?

ა) 7 • 7

ბ) 7 • 6

გ) 7 • 4

დ) 7 • 5

4. რომელი ვარიანტი შეესაბამება ჩანაწერს 9 • 4?

ა) 9 + 9 + 9 + 9

ბ) 4 + 4 + 4 + 4

გ) 4 + 4 + 9 + 9

დ) 9 + 4 + 9 + 4

ტესტების პასუხები: [1 - გ; 2 - ბ, 3 - დ, 4 - ა.]

6 **დავალება:**

ა) სახლში ცხოვრობს ოთხი ბავშვი. ყოველი ბავშვისთვის ბუხართან ჩამოკიდებულია ერთი საშობაო წინდა. სანტა შობის ღამეს ყველა წინდას ტკბილეულით აავსებს. რამდენი ტკბილეული დასჭირდება სანტას, თუ ყოველ წინდაში 8 ცალს მოათავსებს?

ბ) ერთი ცალი სანტას ქუდის შესაძენად ნინამ მოლარეს 50-ლარიანი მიაწოდა. მოლარემ მას 6 ცალი 5-ლარიანი და 8 ცალი 2-ლარიანი დაუბრუნა. იპოვეთ ერთი ცალი სანტას ქუდის ფასი.

დავალების პასუხები: [ა) – 32; ბ) – 4 ლარი]

მოგზაურობა

დონე 1

3

ქართული ენა

1 **რას ნიშნავს სიტყვა „მოგზაური“?**

☐ ის, ვინც სურათებს იღებს.

☐ ის, ვინც ათვალიერებს სხვადასხვა ადგილს / ქვეყანას.

2 **დააკვირდი სიტყვებს, იპოვე მათი საერთო ნაწილი და შემოხაზე:**

გზა	მოგზაური	მგზავრი

3 **დააკვირდი სურათებს და მონიშნე, რომელი ნივთები გვჭირდება მოგზაურობის დროს:**

☐ წყალი

☐ სათვალე

☐ შოკოლადი

☐ ჩემოდანი

☐ წიგნი ☐ პასპორტი ☐ ქოლგა ☐ ველოსიპედი

4 **წარმოიდგინე, რომ სამოგზაუროდ მიდიხარ. დაწერე სამი ნივთის სახელი, რომელიც აუცილებლად თან უნდა წაიღო:**

1. .....

2. .....

3. .....

5 **გაიხსენე და დაწერე ოთხი ტრანსპორტი, რომლითაც მოგზაურობა შეგვიძლია:**

1. .....

2. .....

3. .....

4. .....

6 **დააკავშირე სურათი და სიტყვა ერთმანეთთან:**

ოკეანე

ხომალდი

ტოტი

ტბა

იალქანი

კენჭები

კოღო

მეზღვაური

7 **დააკვირდი სიტყვებს და აღადგინე დაკარგული ასოები:**

ნიმუში: კო__ო *კოღო*

ხომა___დი

კენ___ი

მეზ___ვაური

იალ___ანი

ო___ეანე

ტო___ი

8 **დაალაგე ასოები ისე, რომ სიტყვა მიიღო:**

ნიმუში: ღოკო - კოღო

ბტა - _____

მიგე - _____

ტიტო - _____

ნჭეკი - _____

კოენეა - _____

9 **წაიკითხე სიტყვები და გადახაზე ის, რომელიც ზედმეტია:**

ნიმუში: მანქანა, გემი, ~~ჯუნჭი,~~ ავტობუსი

1. ზღვა, კოღო, ტბა, ოკეანე
2. კოღო, ბუზი, ფუტკარი, ხომალდი
3. პასპორტი, ჩემოდანი, ქოლგა, თვითმფრინავი

10 **წაიკითხე განმარტებები; წინადადებებში ჩასვი გამოტოვებული სიტყვები:**

ალბათ - გამოიყენება ისეთი ამბის გადმოცემისას, რომელიც გამოხატავს ვარაუდს.

თურმე - გამოიყენება ისეთი ამბის გადმოცემისას, რომელიც მთქმელს თვითონ არ უნახავს ან არ ახსოვს.

ხოლმე - გამოიყენება მოქმედების მრავალჯერ განმეორების გამოსახატავად.

ნიმუში: ამ ზაფხულს ..... ტბას ვნახავ. (ხოლმე / ალბათ)

*ამ ზაფხულს **ალბათ** ტბას ვნახავ.*

ტბა ..... ძალიან ლამაზია. (თურმე / ხოლმე)

*ტბა **თურმე** ძალიან ლამაზია.*

ყოველ ზაფხულს ტბის სანახავად მივდივარ ..... . (ხოლმე / ალბათ)

*ყოველ ზაფხულს ტბის სანახავად მივდივარ **ხოლმე**.*

1. ქართულს ყოველდღე ვმეცადინეობ..... (თურმე / ხოლმე)
2. საქართველოში ..... ბევრ ლამაზ ადგილს ვნახავ. (ხოლმე / ალბათ)
3. ლუკას ..... ბევრი ახალი მეგობარი ჰყავს. (თურმე / ხოლმე)
4. მოღრუბლულია. ..... იწვიმებს. (ალბათ / თურმე)
5. კოღოს ..... მოგზაურობა უყვარს. (ხოლმე / თურმე)

11 წაიკითხე განმარტებები და დაიმახსოვრე:

კოღო - მწერი
ოკეანე - ყველაზე დიდი წყალი, რომელიც გარს აკრავს დედამიწას
ტბა - წყალი, რომელსაც გარშემო მიწა აკრავს
ხომალდი - დიდი გემი
იალქანი - ქსოვილი, რომელიც ხომალდს გადაადგილებაში ეხმარება
ზრდილობიანი - ის, ვინც ქცევის წესებს იცავს
დაუღალავი - ის, ვინც არ იღლება
უშიშარი - ის, ვისაც არ ეშინია
თავგადასავალი - საინტერესო ამბავი ვინმეს ან რაიმეს შესახებ
ჩაფიქრებული - ფიქრებში გართული

დიდი მოგზაური

ცხოვრებაში მე, ალბათ, ბევრმა კოღომ გამიცნო.

აი, მე კი, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი მათგანი გავიცანი.

ერთხელ ტბის პირას მივსეირნობდი, როდესაც სანაპიროზე **კოღო** შევნიშნე: იჯდა პატარა კენჭზე და **ჩაფიქრებული** უყურებდა **ბუნებას...**

ზრდილობიანად მივესალმე და საუბარი დავიწყეთ... მან ბევრი ისეთი რამ მიამბო, რომ ჩემი აზრი **კოღოების** შესახებ სრულიად შეცვალა...

მე ხომ მეგონა, რომ კოღოებს ფრენა უყვარდათ, მაგრამ თურმე ზოგიერთ მათგანს ცურვა, უფრო სწორედ კი, მეზღვაურობა უყვარს.

ერთხელ ჩემს ნაცნობ **კოლოს** პატარა ტოტი უპოვია და ამ თავისი ტოტი-ხომალდით, თურმე, **დაუღალავად** მოგზაურობდა ტბაზე, რომელსაც ოკეანეს ეძახდა... **უშიშრად** დაჯდებოდა ხოლმე გემბანზე, გაშლიდა ფრთებს, როგორც იალქანს და მიცურავდა **თავგადასავლების** საძიებლად...

ახლა კი ოკეანის, უფრო სწორედ, ტბის ნაპირას იჯდა ჩაფიქრებული. უკვე ძალიან მოხუცი იყო სახიფათო მოგზაურობისთვის...

კოლომ არ იცოდა, რა ექნა თავისი **გემისათვის**, რომელიც მას მთელი ცხოვრება ემსახურა...

ძალიან მომეწონა მისი ამბავი და ვთხოვე, რომ ჩემთვის მოეცა თავისი **ხომალდი**.

შევპირდი: „მართალია, მე ვერ შევძლებ მოგზაურობას, მაგრამ ყველას მოვუყვები ამ ამბავს და **ხომალდს** იმას გადავცემ, ვინც მოუვლის და გაუფრთხილდება“.

იქნებ, ეს ადამიანი სწორედ შენ ხარ...

სანდრო ასათიანი

12 უპასუხე კითხვებს:

1. სად შეხვდა მთხრობელი კოღოს?
2. რას აკეთებდა კოღო?
3. რა უყვარს ზოგიერთ კოღოს ფრენაზე მეტად?
4. სად მოგზაურობდა კოღო თავისი ხომალდით?
5. რას ფიქრობდა მოხუცი კოღო?
6. რა სთხოვა მთხრობელმა კოღოს?
7. რას შეპირდა მთხრობელი კოღოს?

მთხრობელი - ის, ვინც ამბავს მოგვითხრობს.

• როგორ ფიქრობ, რას ნიშნავს სიტყვა **მოთხრობა**?

13 წაიკითხე წინადადებები და გამოიცანი ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობა:

ტბის პირას მივსეირნობდი, როდესაც სანაპიროზე კოღო <u>შევნიშნე.</u>

ა) დავინახე ბ) დავიჭირე გ) გავიცანი

ზრდილობიანად მივესალმე და <u>საუბარი</u> დავიწყეთ.

ა) ჩურჩული ბ) ყვირილი გ) ლაპარაკი

14 წაიკითხე ტექსტი და ჩასვი გამოტოვებული სიტყვები:

ტოტი, ფიქრობდა, კოღო, მეზღვაურობა, ლაპარაკი, ზრდილობიანად, თავგადასავალი

ტბის პირას მივსეირნობდი, როდესაც სანაპიროზე ..... შევნიშნე. ის პატარა კენჭზე იჯდა. ..... მივესალმე და ..... დავიწყეთ. მან მითხრა, რომ ზოგიერთ კოღოს ..... უყვარდა. ერთხელ პატარა ..... იპოვა და ამ თავისი ხომალდით მოგზაურობდა ტბაზე. მოგზაურობის დროს კოღოს ბევრი ..... გადახდა თავს. ახლა კი ....., რომ ძალიან მოხუცი იყო სახიფათო მოგზაურობისთვის.

15 **დააკვირდი სურათებს და შეავსე ცხრილი:**

დაფრინავს	დაცურავს	დადის
კოღო		

16 **დააკავშირე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები:**

ტბის პირი	გემი
შევნიშნე	ლაპარაკი
ხომალდი	სანაპირო
სახიფათო	მითხრა
საუბარი	დავინახე
მიამბო	საშიში

17 **შეადგინე წინადადებები სიტყვების გამოყენებით:** ხომალდი, ოკეანე, ტბა, მეზღვაური, კენჭი, ნაპირი.

ნიმუში: მე დავინახე დიდი ხომალდი.

1. . .....
2. . .....
3. . .....
4. . .....
5. . .....

18 **დააკვირდი ნიმუშს და ჩასვი ვერ / არ ნაწილაკები:**

ნიმუში: ზაფხულში ვისვენებთ და სკოლაში არ დავდივართ.
ავად ვარ და სკოლაში ვერ მივდივარ.

1. ლუკამ ცურვა ..... იცის.
2. წყალი ძალიან ცივია და ..... ვცურავ.
3. ამ სახლის გასაღები ..... მაქვს.
4. გასაღები სახლში დამრჩა და კარი ..... გავაღე.
5. კონცერტზე ..... წავედი, რადგან ბილეთი ..... მქონდა.

19 **დაუმატე სიტყვებს -დ / -ად დაბოლოება და ნიმუშის მიხედვით შეავსე ცხრილი:**

	როგორი?	**როგორ?**
ნიმუში:	*სამწუხარო* *ზრდილობიანი*	*სამწუხარო-დ* *ზრდილობიან-ად*

როგორი?	**როგორ?**
დაუღალავი	
უშიშარი	
სწორი	
კარგი	
ცუდი	

20 **წაიკითხე წინადადებები და ჩასვი გამოტოვებული სიტყვები:**

ნიმუში: თომა ..... ბიჭია, ყველას ..... ესალმება (ზრდილობიანი, ზრდილობიანად).

თომა <u>ზრდილობიანი</u> ბიჭია, ყველას <u>ზრდილობიანად</u> ესალმება.

1. კოლო ..... დაფრინავს. (დაუღალავი / დაუღალავად)
2. ლომი ..... ცხოველია. (უშიშარი / უშიშრად)
3. ჩემი მეგობარი ..... ადამიანია. (კარგად / კარგი)
4. - როგორ ხარ, თომა?
   - ..... ვარ. (კარგად / კარგი)
5. გუშინ ..... ამბავი გავიგე. (სამწუხარო / სამწუხაროდ)

21 **დააკვირდი განმარტებებს და სწორად ჩასვი გამოტოვებული სიტყვები:**

როდის? → როდესაც	**რომელი?** → რომელიც, რომელმაც, რომელსაც

1. ტბის პირას მივსეირნობდი, **(როდის?)** ..... სანაპიროზე კოლო შევნიშნე.
2. არ იცოდა, რა ექნა თავისი გემისათვის, **(რომელი?)** ..... მას მთელი ცხოვრება ემსახურა...
3. ტბის პირას კოლო ვნახე, **(რომელი?)** ..... საინტერესო ამბავი მიამბო.
4. ამ თავისი ხომალდით დაუღალავად მოგზაურობდა ტბაზე, **(რომელი?)** ..... ოკეანეს ეძახდა.

22 **გაიხსენე და ისაუბრე შენი ყველაზე საინტერესო მოგზაურობის შესახებ:**

შეგიძლია დაიხმარო კითხვები:

■ სად იყავი? ■ როდის იყავი? ■ ვისთან ერთად იყავი? ■ რით წახვედი სამოგზაუროდ? ■ რა ნახე? ■ რა ემოცია გქონდა?	ადგილი	ტრანსპორტი
	დრო	ემოციები

23 **წარმოიდგინე, რომ მთხრობელმა შენ გაჩუქა კოღოს ხომალდი. დაწერე:**

- **სად იმოგზაურებდი?**
- **ვისთან ერთად?**
- **რა ნივთებს წაიღებდი სამოგზაუროდ?**

წერისას შეგიძლია გამოიყენო სიტყვები: ზღვა, ტბა, ოკეანე, მდინარე, დედა და მამა, მეგობრები, მასწავლებელი, ქოლგა, ქუდი, წყლის ბოთლი, საჭმელი...

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

ხელოვნება

ლექსიკონი: მარინისტული ჟანრი, აკვარელი, მონასმი.

თემა: თავგადასავალი წყალზე

- გიყვარს მოგზაურობა?
- შენ შეგიძლია იმოგზაურო თვითმფრინავით, მატარებლით, გემით. რომელს აირჩევდი?

წარმოიდგინე, რომ გემით მოგზაურობ. შენ ირგვლივ ულამაზესი ზღვის პეიზაჟებია, მზის ჩასვლა ან ამოსვლა. არიან მხატვრები, რომლებიც ხშირად ხატავენ ზღვის პეიზაჟებს. **მარინისტული ჟანრის** ნახატები გვიყვება წყალთან დაკავშირებულ თავგადასავლებს. მასზე შეიძლება გამოსახული იყოს მხოლოდ ზღვა, ზღვაში მყოფი გემი, სტიქიები ზღვაზე და ა.შ..

მარინისტული ჟანრი - ნახატი, რომელზეც გამოსახულია ზღვის პეიზაჟები.

1 **უპასუხე კითხვებს:**

1. რა არის მარინისტული ჟანრი?
2. რა შეიძლება იყოს გამოსახული მარინისტული ჟანრის ნახატზე?
3. როგორ ფიქრობ, რატომ ხატავენ მხატვრები ზღვის პეიზაჟებს?

2 **დააკვირდი ნამუშევრებს და უპასუხე კითხვებს:**

1. შენი აზრით, როგორი ამინდი შეხვდა მოგზაურს?

   ა) მზიანი ბ) ქარიანი
2. როგორ ფერებშია შესრულებული ნამუშევარი?
3. შენ როგორ ემოციებს გიტოვებს ნამუშევარი?

უილიამ ტერნერი - ორთქლის გემი ქარბუქისას, 1842.

1. როგორი ამინდია მოცემულ ნახატზე?
2. როგორ ფერებშია შესრულებული ნამუშევარი?
3. შენ როგორ ემოციებს გიტოვებს ნახატი?

კლოდ მონე - შთაბეჭდილება, მზის ამოსვლა

3 **როგორ ფიქრობ, იცოდნენ თუ არა მხატვრებმა როგორ იგებოდა გემი?**

ცნობილი მხატვარი, ივან აივაზოვსკი, მხოლოდ მარინისტული ჟანრის ნამუშევრებს ხატავდა. მან დაახლოებით 6000 ნახატი შექმნა.

ივან აივაზოვსკი - თურქულ გემებთან ბრძოლა შავ ზღვაზე

	აკვარელი - წყალში გასახსნელი საღებავი, რომლითაც შემდეგ ქაღალდზე ხატავენ. **პასტელი** - რბილი ფერადი სახატავი ფანქარი.

4 **იმსჯელე შემდეგი კითხვების მიხედვით:**

- როგორ ფიქრობ, ნახატის მიხედვით შეგიძლია წარმოიდგინო, როგორი იყო გემი?
- დააკვირდი წყალს, ჰგავს თუ არა ის ნამდვილს?
- როგორია წყლის ანარეკლი?

5 **წარმოიდგინე, რომ გემით მიდიხარ საოცნებო მოგზაურობაში. დახატე მარინისტული ჟანრის ნამუშევარი აკვარელით, პასტელით ან ფანქრებით. წარმოადგინე შენი საოცნებო გემი კლასის წინაშე.**

6 **გაიხსენე მოთხრობა „დიდი მოგზაური“:**

7 **გსმენია რამე არგონავტების შესახებ?**

აქ გაეცნობი მათ ისტორიას:

აპლიკაციის ხერხით, მეგობრებთან ერთად ააგე არგონავტების ხომალდი. გამოიყენე ფერადი ფურცლები, ძველი ჟურნალები, მუყაო.

8 **წარმოიდგინე და დახატე, როგორი იქნებოდა კოღოს ხომალდი. ნამუშევრის შესაქმნელად დაგჭირდება ფერადი ფანქრები, აკვარელი ან პასტელი.**

ბუნებისმეტყველება

1 **იცანი მწერი და თითოეულ სურათს მიუწერე შესაბამისი დასახელება:** (ფუტკარი; ბუზი; კოღო; პეპელა)

სიტყვათა განმარტება:

მწერი - პატარა უხერხემლო ცხოველების (ბუზის, ფუტკრისა და მისთ.) საერთო სახელწოდება.

ნექტარი - ყვავილის წვენი.

ნესტარი - ზოგიერთი მწერისა და ცხოველის (ფუტკრის, მორიელის, ობობას) მჩხვლეტავი ორგანო, რომელსაც თავდაცვისა და თავდასხმისთვის იყენებენ.

საფრთხე - მოვლენა, რომელიც შეიძლება ვინმესთვის ან რაიმესთვის საშიში აღმოჩნდეს.

ჭაობი - დაბლობი ადგილი, სადაც ყოველთვის დგას წყალი, ჩვეულებრივ, დაფარული წყალმცენარეებით.

ტბა - ბუნებრივი ან ხელოვნური წყალსატევი, რომელიც არ უერთდება ზღვას ან ოკეანეს.

მდინარე - ბუნებრივ კალაპოტში მიმდინარე დიდი მოცულობის წყლის ნაკადი.

მიკროორგანიზმი - უმცირესი, თვალით უხილავი, ძირითადად ერთუჯრედიანი ცოცხალი ორგანიზმი.

მეტამორფოზი - გარდასახვა, მკვეთრად შეცვლა.

წაიკითხე - რა არის კოღო?

შენ უკვე იცნობ **მწერების** წარმომადგენელ ფუტკარს; იცი მისი სასარგებლო თვისებების შესახებ; ისიც იცი, რომ ის მხოლოდ თავდაცვის მიზნით კბენს ადამიანს ან ცხოველს. ახლა კი გაეცნობი მწერების კიდევ ერთ წარმომადგენელს, რომელიც **ნესტრით** მხოლოდ იმიტომ კბენს ადამიანებს და ცხოველებს, რომ იკვებოს - ეს გახლავს **კოღო** და მისი საკვები სისხლია. თუმცა, როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოს, სისხლით მხოლოდ **მდედრი** კოღოები იკვებებიან, **მამრი** კოღოები კი **ნექტარს** მიირთმევენ.

კოღოები პატარა, მფრინავი მწერები არიან, რომლებიც მთელ მსოფლიოში გვხვდებიან. **კოღოებს** განსაკუთრებით უყვართ წლიანი ადგილები: **ტბები, მდინარის** სანაპიროები, **ჭაობები**; ასევე ბინადრობენ **ტენიან** ადგილებში, მაგალითად, ტყის პირას. როგორც აღვნიშნეთ, მდედრი კოღოები კბენენ ადამიანს და სისხლით **იკვებებიან**. კოღო **საფრთხეს** წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობისთვის, რადგან კბენის დროს ადამიანის ორგანიზმში ხვდება **მიკროორგანიზმი**, რომელიც იწვევს დაავადება **მალარია**ს. მალარიამ უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ვიდრე მის საწინააღმდეგო წამალს **ქინაქინას** გამოიგონებდნენ. კოღოს სასიცოცხლო ციკლი რამდენიმე სტადიისაგან შედგება, ე.ი. კოღო **მეტამორფოზის** გზით ვითარდება; ეს ნიშნავს, რომ: მდედრი კოღო დებს კვერცხებს წყალში ან **ტენიან** ადგილებში. კვერცხებიდან **ლარვები** იჩეკებიან, რომლებიც წყალში ცხოვრობენ; შემდეგ ლარვები გადადიან **ჭუპრის** სტადიაში, საიდანაც ზრდასრული მწერი გამოდის. კოღოები ბუნებაში გარკვეულ როლს ასრულებენ - ისინი ბაყაყებისა და ჩიტებისათვის საკვებს წარმოადგენენ.

2 **გააფერადე სურათი და კოღოს სხეულის თითოეულ ნაწილს მიუწერე შესაბამისი დასახელება:** (ფრთა, ფეხი, თვალი, ნესტარი)



3 **გამოიყენე ტექსტში მოცემული ინფორმაცია და გაუკეთე შესაბამისი წარწერა კოღოს სასიცოცხლო ციკლს.**



4 **უპასუხე კითხვებს:**

1. რა არის კოღო?
2. დაასახელე კოღოს სასიცოცხლო ციკლის ეტაპები.
3. სად დებენ კოღოები კვერცხებს?
4. სად ცხოვრობენ კოღოების ლარვები?
5. რით იკვებება მდედრი კოღო?
6. რით იკვებება მამრი კოღო?
7. რატომ არიან კოღოები მნიშვნელოვანი ბუნებაში?
8. რა საფრთხე მოაქვს ადამიანისათვის კოღოს?

5 **სახალისო აქტივობები:**

1. დახატე კოღოს სასიცოცხლო ციკლი, კვერცხიდან მოზრდილ კოღომდე.
2. პლასტილინით ან თიხით გააკეთე კოღოს მოდელი.
3. შექმენი კომიქსი კოღოს სასიცოცხლო ციკლზე.
4. უყურე ვიდეოს და ჩაიწერე, რა იყო შენთვის ნაცნობი ამ ვიდეოში.

მათემატიკა

ნატურალური რიცხვების გაყოფა

1 **გავიხსენოთ:**

რომელი ნახატი რომელ გამოსახულებას შეესაბამება?

	3 • 5
	2 • 4
	**4 • 3**

მზეების **რამდენი** **სამეული** ხატია სურათზე?		ორი **სამეული**
ქუდების **რამდენი** **ხუთეულია** სურათზე?		სამი **ხუთეული**

2 ამოცანა

მეგობრებმა - ანამ, საბამ და ნინამ - გადაწყვიტეს მთაში დასვენება და იქ ორი დღის გატარება. ისინი შეთანხმდნენ, რომ ყოველი მათგანი თან წაიღებდა იმდენ საკვებსა და წყალს, რამდენიც მთელი მოგზაურობის განმავლობაში ეყოფოდა. როდესაც ადგილზე დაბინავდნენ, აღმოჩნდა, რომ **ჯამში** მათ ჰქონდათ: 6 ცალი პური, 18 ცალი კვერცხი, 12 ცალი ღვეზელი, 24 ცალი ვაშლი, 21 ცალი შოკოლადის ფილა და 12 ცალი ლიტრიანი ბოთლი წყალი. მეგობრების მიზანია, რაციონალურად **გაანაწილონ** პროდუქტი ისე, რომ თითოეულს **თანაბარი რაოდენობის** საკვები და წყალი შეხვდეს. რა იქნება **თითოეული** მეგობრის ერთი დღის ულუფა?

ამოხსნა:

ვმსჯელობთ - თუ 6 პურს **თანაბრად გავუნაწილებთ** 3 მეგობარს, **თითოეულს** შეხვდება 2 პური. **მაშასადამე**, ვწერთ:

$$6 : 3 = 2$$

გასაყოფი გამყოფი განაყოფი

მაგალითები **გაყოფაზე** იკითხება სხვადასხვანაირად:

6 გაყოფილი 3-ზე უდრის 2-ს	**6-ისა და 3-ის განაყოფი უდრის 2-ს**
გასაყოფია 6, გამყოფი - 3, განაყოფი -2	**6 შემცირებული 3-ჯერ არის 2**

გამრავლება და გაყოფა ურთიერთშებრუნებული მოქმედებებია:

2 • 4 = 8 4 • 2 = 8	8 : 2 = 4 8 : 4 = 2

თუ ორი რიცხვის ნამრავლს გავყოფთ ერთ-ერთ თანამამრავლზე, მივიღებთ მეორე თანამამრავლს

გაყოფის კომპონენტებია: გასაყოი, გამყოფი, განაყოფი	**გამრავლების კომპონენტებია:** თანამამრავლები, ნამრავლი

თუ 2 პურს ორ დღეზე **გავანაწილებთ,** დღეში **თითოეულს** შეხვდება 1 პური

2 : 2 = 1

პური		
მთლიანი რაოდენობა	**თითოეული** (სამი) მეგობრისთვის განკუთვნილი რაოდენობა	თითოეული მეგობრის **ერთი დღის** ულუფა
 6 ცალი	 **6 : 3 = 2**	 **2 : 2 = 1** **1** ცალი

კვერცხი		
მთლიანი რაოდენობა	**თითოეული** (სამი) მეგობრისთვის განკუთვნილი რაოდენობა	თითოეული მეგობრის **ერთი დღის** ულუფა
		
18 ცალი	**18 : 3 = 6**	6 : 2 = 3 **3** ცალი

ღვეზელი		
მთლიანი რაოდენობა	თითოეული (სამი) მეგობრისთვის განკუთვნილი რაოდენობა	თითოეული მეგობრის ერთი დღის ულუფა
12 ცალი	**12 : 3 = 4**	**4 : 2 = 2** **2** ცალი

ვაშლი		
მთლიანი რაოდენობა	თითოეული (სამი) მეგობრისთვის განკუთვნილი რაოდენობა	თითოეული მეგობრის ერთი დღის ულუფა
24 ცალი	**24 : 3 = 8**	**8 : 2 = 4** **4 ცალი**

შოკოლადის ფილა		
მთლიანი რაოდენობა	თითოეული (სამი) მეგობრისთვის განკუთვნილი რაოდენობა	თითოეული მეგობრის ერთი დღის ულუფა
21 ცალი	**21 : 3 = 7**	**7 : 2 = 3** **(ნაშთი 1)** **3 ცალი და ერთი დარჩა, რომელსაც ნაშთს უწოდებენ.**

წყალი		
მთლიანი რაოდენობა	თითოეული (სამი) მეგობრისთვის განკუთვნილი რაოდენობა	თითოეული მეგობრის ერთი დღის ულუფა
12 ცალი	**12 : 3 = 4**	**4 : 2 = 2** **2 ბოთლი**

პასუხი: თანაბრად განაწილების შემდეგ თითოეული მეგობრის ერთი დღის ულუფა იქნება: პური: 1 ცალი; კვერცხი: 2 ცალი; ღვეზელი: 2 ცალი; ვაშლი: 4 ცალი; შოკოლადის ფილა: 3 ცალი; წყალი: 2 ბოთლი. **გაუნაწილებელი** დარჩება ერთი ფილა შოკოლადი.

3 **დაიმახსოვრე:**

ნებისმიერი რიცხვის ერთზე გაყოფისას მივიღებთ იგივე რიცხვს.	**5 : 1 = 5** **7 : 1 = 7**
ნებისმიერი რიცხვის თავის თავზე გაყოფისას (გარდა 0-ისა) განაყოფში მიიღება 1.	4 : 4 = 1 6 : 6 = 1
0-ის ნებისმიერი რიცხვზე განაყოფი (გარდა 0-ისა) უდრის 0-ს.	0 : 3 = 0 0 : 7 = 0
0-ზე გაყოფა არ შეიძლება (რადგან არ არსებობს ისეთი რიცხვი, რომელიც 0-ზე გამრავლებისას გვაძლევს 0-ისაგან განსხვავებულ რაიმე რიცხვს)	~~5 : 0~~

4 უპასუხე კითხვებს:

როგორ ვიპოვოთ უცნობი გასაყოფი, თუ ცნობილია გამყოფი და განაყოფი?	უცნობი გასაყოფი რომ ვიპოვოთ, განაყოფი უნდა გავამრავლოთ გამყოფზე: ? : 3 = 4 ? = 4 · 3
როგორ ვიპოვოთ უცნობი გამყოფი გასაყოფისა და განაყოფის მიხედვით?	უცნობი გამყოფი რომ ვიპოვოთ, გასაყოფი უნდა გავყოთ განაყოფზე: 24 : ? = 3 ? = 24 : 3
როგორ ვიპოვოთ უცნობი პირველი თანამამრავლი, თუ ცნობილია მეორე თანამამრავლი და ნამრავლი	უცნობი პირველი თანამამრავლი რომ ვიპოვოთ, ნამრავლი უნდა გავყოთ ცნობილ თანამამრავლზე. ? x 5 = 30 ? = 30 : 5

5 ტესტები:

1. 24 : 6 = 4 ტოლობაში 6 არის

ა) გასაყოფი ბ) გამყოფი გ) განაყოფი დ) შედეგი

2. 21 : 3 = 7 ტოლობაში 21 არის

ა) გასაყოფი ბ) გამყოფი გ) განაყოფი დ) შედეგი

3. შეარჩიე სწორი გამონათქვამი:

ა) 16-ისა და 4-ის განაყოფი უდრის 2-ს

ბ) 8 შემცირებული 2-ჯერ არის 3

გ) გასაყოფია 28, გამყოფი - 7, განაყოფი -3

დ) 27 გაყოფილი 3-ზე უდრის 9-ს

ტესტების პასუხები: [1 - ბ; 2 - ა; 3 - დ.]

ბუნება და ადამიანი

4

დონე 1

ქართული ენა

1 **მონიშნე სწორი განმარტება - პიკნიკი არის:**

- [ ] ბუნებაში გასეირნება, თამაში და სადილი.
- [ ] პარკში სეირნობა.
- [ ] თამაში მეგობრებთან.

2 **უპასუხე კითხვებს:**

- ყოფილხარ პიკნიკზე?
- როგორი ბუნება იყო?
- ვისთან ერთად იყავი?
- როგორი დრო გაატარე?

3 **გამოიცანი, რომელია ზედმეტი, რას არ წაიღებ პიკნიკზე?**

წყალი	ჭიქები	თეფშები
ლეიბები	კომპასი	გლობუსი

4 **დააკვირდი ილუსტრაციას და გამოიცანი, რის წაღება დაავიწყდათ ბავშვებს პიკნიკზე?**

ა) ჭიქების

ბ) თეფშების

გ) ლეიბის

5 **დააკავშირე სურათები სიტყვებთან:**

სენდვიჩი

სტაფილო

მდელო

ხალიჩა

ტომარა ნარჩენებისთვის

მზის სხივები

ყვავილების გვირგვინი

ნაკადული

6 **წაიკითხე და დაიმახსოვრე სიტყვების განმარტება, რომლებიც ტექსტში შეგხვდება:**

ჭიკჭიკი – ჩიტის სასიამოვნო ხმა

მდელო – ბალახით დაფარული პატარა ადგილი

ნაკადული – პატარა წყალი, რომელიც თავისით მოედინება

ნარჩენები – რაც დარჩათ, აღარ გამოიყენეს, გადასაგდებია

7 **წაიკითხე ტექსტი**

პიკნიკი ბუნებაში

ერთ მზიან კვირა დღეს ბავშვებმა პიკნიკზე წასვლა გადაწყვიტეს. კალათაში ჩაალაგეს: გემრიელი **სენდვიჩები**, წითელი ვაშლები, სტაფილოს ჩხირები, წყლისა და ლიმონათის ბოთლები, ქაღალდის თეფშები და ჭიქები. თან წაიღეს მიწაზე დასაფენი **ლეიბი** და **ტომარა ნარჩენებისთვის**.

ბავშვებმა ტყეში, დიდი მუხის ქვეშ, ულამაზესი ადგილი იპოვეს. მწვანე ბალახი **ხალიჩასავით** იყო დაფენილი მიწაზე. ჩიტები სასიამოვნოდ **ჭიკჭიკებდნენ** და ტკბილ მელოდიას მღეროდნენ.

მარიამმა და ანამ სუფრა გაშალეს, თეფშებზე სენდვიჩები დაალაგეს; გიორგიმ ლიმონათი დაასხა ჭიქებში; ნიკომ და მაკამ ვაშლები და სტაფილოს ჩხირები დაურიგეს მეგობრებს. საჭმელი სუფთა ჰაერზე კიდევ უფრო გემრიელი იყო.

სადილის დასრულების შემდეგ ბავშვებს თამაში მოუნდათ და **მდელოზე** დაიწყეს სირბილი. იქვე, ახლოს, პატარა **ნაკადული** იპოვეს და გემრიელი ცივი წყალი დალიეს. მზეც თავისი **ოქროსფერი სხივებით** ეთამაშებოდა პატარებს - ხან დაიმალებოდა, ხან ისევ გამოჩნდებოდა. ბიჭებმა ყვავილები დაკრიფეს და გოგონებისთვის პატარა **გვირგვინები** დაამზადეს.

ცოტა ხანში მზემ ჩასვლა დაიწყო. ბავშვებმა სუფრა აალაგეს, ნარჩენები კი ტომარაში ჩაყარეს.

– მეგობრებო, დღეს მშვენიერი დრო გავატარეთ და ძალიან მიხარია, რომ ბუნებაზეც ვიზრუნეთ. მნიშვნელოვანია, ჩვენი ტყე და მდელო სუფთა იყოს! – თქვა ანამ.

– რა ლამაზია სუფთა ტყე! – გაისმა შეძახილები.

ბედნიერი და კმაყოფილი ბავშვები სახლში დაბრუნდნენ. მათი გულები სიხარულით იყო სავსე, რადგან მშვენიერი დრო გაატარეს და თან ბუნებაზეც იზრუნეს.

ლელა მანგოშვილი

8 უპასუხე კითხვებს:

1. რა გადაწყვიტეს ბავშვებმა კვირა დღეს?

   ა) პარკში გასეირნება ბ) პიკნიკის მოწყობა

2. რისთვის წაიღეს ტომრები?

   ა) სათამაშოდ ბ) ნარჩენებისთვის გ) ძილისთვის

3. რა დაამზადეს ბიჭებმა გოგონებისთვის ყვავილებისგან?

   ა) ქუდები ბ) გვირგვინები გ) შარფები

4. რა უხაროდათ ბავშვებს?

   ა) კარგად ითამაშეს ბ) კარგი დრო გაატარეს გ) კარგი დრო გაატარეს და ბუნებაზეც იზრუნეს

9 მონიშნე სწორი პასუხები:

ბავშვებმა პიკნიკზე წაიღეს:

☐ სენდვიჩები ☐ ვაშლი ☐ ორცხობილა ☐ სტაფილოს ჩხირები

მწვანე ბალახი ხალიჩასავით იყო დაფენილი მიწაზე - იგულისხმება:

- მწვანე ბალახზე დაფენილი ხალიჩა
- მწვანე ბალახის შედარება ხალიჩასთან

მდელო არის:

☐ ბალახით დაფარული პატარა ადგილი

☐ პატარა წყალი, რომელიც თავისით მოედინება

ნაკადული იყო:

ა) ცივი ბ) ცხელი გ) დიდი

10 **ტექსტში „პიკნიკი ბუნებაში“ იპოვე წინადადება, რომელშიც წერია თუ რატომ იყო ბავშვების გულები სიხარულით სავსე.**

11 **დააკავშირე მახასიათებელი არგუმენტთან - როგორები იყვნენ ბავშვები:**

მახასიათებელი როგორი?	**არგუმენტი იმიტომ, რომ...**
ყურადღებიანი	იმიტომ, რომ მათ ბუნებაზე იზრუნეს.
მზრუნველი	იმიტომ, რომ ბიჭებმა გოგონებს ყვავილების გვირგვინები გაუკეთეს.
მეგობრული	იმიტომ, რომ პიკნიკისთვის საჭირო ყველა ნივთი წაიღეს.

12 **გაიხსენე!**

– ში თანდებულიანი ფორმა გამოხატავს საგნის შიგნით ყოფნას:

სკოლაში	*ტყეში*	*ყუთში*	*ტომარაში*

ძაღლი ზის ყუთში.

ნარჩენები არის ტომარაში.

–ზე **თანდებულიანი ფორმა გამოხატავს საგნის ზემოთ ყოფნას:**

მაგიდაზე	*გზაზე*	*ბალახზე*	*მდელოზე*

წიგნი დევს მაგიდაზე.

ბავშვები თამაშობენ მდელოზე.

13 **ჩასვი სიტყვები წინადადებებში სწორი ფორმით:**

1. ბავშვებმა სუფრა აალაგეს და ნარჩენები ..... **(ტომარაში, ტომარაზე)** ჩაყარეს.

2. ბავშვები ..... **(მდელოში, მდელოზე)** თამაშობენ.

14 **დააკვირდი და ნიმუშის მიხედვით დაუკავშირე სიტყვები ერთმანეთს:**

ჭიკჭიკი	ცეკვავს
სიმღერა	ხატავს
ცეკვა	ჭიკჭიკებს
ხატვა	მღერის
წერა	კითხულობს
კითხვა	წერს

15 **დააკვირდი, როგორ იცვლება სიტყვის ბოლო ასოები:**

ჩიტი
ჩიტმა
ჩიტს
ჩიტის
ჩიტით
ჩიტად
ჩიტო

16 **დააკვირდი ილუსტრაციას და სიტყვები სწორი ფორმით ჩასვი წინადადებებში:**

ჩიტი, ჩიტმა, ჩიტს, ჩიტის, ჩიტით, ჩიტად, ჩიტო

1. ..... მოფრინდა!
2. ..... გვიპოვა!
3. ..... უყვარს ყვავილები?
4. გესმით ..... ჭიკჭიკი?
5. მოდით, ... ვითამაშოთ!
6. მინდა, ... გადავიქცე და გავფრინდე!
7. ..... , დარჩი ჩვენთან!

17 **ფრაზები დაუკავშირე სურათებს და აღწერე თითოეული მათგანი:**

ა) ნარჩენები ტყეში

ბ) ნარჩენები ზღვაში

გ) ტყის დასუფთავება

დ) ზღვის სანაპიროს დასუფთავება

18 იმსჯელე:

შენი აზრით, რა მოხდება, თუ ადამიანები ბუნებას არ გაუფრთხილდებიან?

1. რა დაემართება ტყეს, თუ ადამიანები ხეებს მოჭრიან?
2. რა დაემართება წყალს, თუ ადამიანები შიგ ნარჩენებს ჩაყრიან?
3. რა დაემართება ჰაერს, თუ მანქანების გამონაბოლქვით დაბინძურდება?
4. გაიხსენე, შენ როგორ უფრთხილდები ბუნებას?

19 შექმენი ტექსტი:

გაიხსენე პიკნიკი, რომელიც ყველაზე მეტად მოგეწონა და დაწერე პატარა ამბავი:

- სად იყავი პიკნიკზე?
- ვისთან ერთად იყავი?
- აღწერე ადგილი.
- რით დაიწყო, როგორ გაგრძელდა და დასრულდა ამბავი?
- როგორი დრო გაატარე?
- რა მოგეწონა ყველაზე მეტად?
- შეგიძლია, ნამუშევარი ნახატით გააფორმო.

ხელოვნება

ლექსიკონი: ტონი, ძირითადი და შედგენილი ფერები

1 **დააკვირდი სურათს და უპასუხე კითხვებს:**

ჟორჟ სერა. კვირა დღე გრან-ჟატის კუნძულზე. 1884-1886

1. რა არის სურათზე გამოსახული?
2. რას საქმიანობენ ადამიანები?
3. როგორი გარემოა მათ ირგვლივ?
4. როგორ წარმოგიდგენია ეს ნამუშევარი ბუნების გარეშე?
5. უნდა გაუფრთხილდეს ადამიანი ბუნებას? რატომ?

ალბათ, ყველა თქვენგანს უყვარს პიკნიკის მოწყობა ბუნებაში. ლამაზი ხედები, ჩიტების ჭიკჭიკი, მწვანე ტყე, სუფთა ჰაერი, ყვავილებიანი მინდორი - ყოველივე ეს ხომ ბუნების საჩუქარია. ამიტომ მას მოფრთხილება, დაცვა და ზრუნვა სჭირდება.

მხატვრები ხშირად ასახავენ თავიანთ ნამუშევრებში ბუნების სილამაზეს. დააკვირდი ვან გოგის პეიზაჟებს. ნახე, რამდენნაირი ფერი აქვს მას გამოყენებული - მუქი და ღია მწვანე, ყვითელი და ლურჯი ფერების სხვადასხვა ტონი და ა.შ..

ტონი - ფერის სხვადასხვა ელფერი, ვარიანტი.

ვან გოგი, ზეთისხილის ხეები, 1889

ვან გოგი, ტირიფები მზის ჩასვლისას, 1888

2 გაიხსენე ფერთა ბორბალი

- ჩამოთვალე თბილი ფერები
- ჩამოთვალე ცივი ფერები
- ჩამოთვალე, რა ფერებია ბორბალზე

ფერწერაში არსებობს ძირითადი და შედგენილი ფერები



ძირითადი ფერების შერევით მიიღება შედგენილი ფერები



ნარინჯისფერი, მწვანე და იისფერი შედგენილი ფერებია

ნებისმიერ ფერთან თეთრი საღებავის შერევით შეგვიძლია ფერის გაღიავება (ღია და მუქი)



3

1. ჩამოთვალე ძირითადი ფერები.
2. ჩამოთვალე შედგენილი ფერები.
3. რომელი ფერების შერევით მიიღება მწვანე?
4. რომელი ფერების შერევით მიიღება იისფერი?
5. რომელი ფერების შერევით მიიღება ნარინჯისფერი?
6. რა არის ტონი?
7. როგორ შეგვიძლია ფერის გაღიავება?

4 **გაიხსენე ნაწყვეტი მოთხრობიდან „პიკნიკი ბუნებაში“.**

„ბავშვებმა ტყეში, დიდი მუხის ქვეშ, ულამაზესი ადგილი იპოვეს. მწვანე ბალახი და სხვადასხვა ფერის ყვავილები ხალიჩასავით იყო დაფენილი მიწაზე. ჩიტები სასიამოვნოდ ჭიკჭიკებდნენ, თითქოს ტკბილ მელოდიას მღეროდნენ... სადილის დასრულების შემდეგ ბავშვებს თამაში მოუნდათ და მდელოზე დაიწყეს სირბილი, ბალახებსა და ფერად ყვავილებში“.

მოცემული ნაწყვეტის მიხედვით დახატე პეიზაჟი. მასალად შეგიძლია გამოიყენო გუაში, აკვარელი ან პასტელი. ნამუშევარში გამოიყენე ძირითადი ან შერეული ფერები.

5 **აკვარელის ან გუაშის საღებავით დახატე ბუნების სხვადასხვა ელემენტი - ყვავილები, ხეები ან ჩიტები.**

ბუნებისმეტყველება

1 **დააკვირდი პირობით ნიშნებს - როგორ ფიქრობ, რას აღნიშნავს ისინი?**

სიტყვების / ტერმინების განმარტება:

გამოყოფა - სითხის, აირისა და მისთ. გამოშვება, გამოდენა.

შთანთქმა (შთანთქავენ) - შეწოვა, შესუნთქვა.

ეკოსისტემა - ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ერთობლიობა გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულზე.

ბუნების დაცვა - მოვლა, პატრონობა, შენახვა, გაფრთხილება.

ნარჩენები - რაიმეს გამოყენების, დამუშავების შედეგად დარჩენილი უვარგისი ნაწილი.

მართვა - შეგნებული მიზანმიმართული ზემოქმედება, რომელიც ხორციელდება სასურველი შედეგების მიღების მიზნით.

ბიოდეგრადირებადი - მასალა, რომელიც ექვემდებარება ბუნებრივი დაშლის პროცესს.

მავნე - ზიანის, ზარალის მომტანი.

უტილიზაცია - წარმოების ნარჩენების გამოყენება სამკურნალო პრეპარატის, ნედლეულის, საწვავის, სასუქის და სხვ. დასამზადებლად.

რეციკლირება - ხელახალი გადამუშავება.

დაბინძურება - გაჭუჭყიანება.

ბუნების მნიშვნელობა და მისი დაცვის აუცილებლობა

ბუნება ჩვენი **სამყაროს** ნაწილია და მას უდიდესი როლი აქვს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ყველა ორგანიზმს (მცირეოდენი გამონაკლისის გარდა) სუნთქვისთვის ესაჭიროება სუფთა ჰაერი. ადამიანს სუნთქვისთვის სპეციალური ორგანო - ფილტვები აქვს, ასევე, ბევრ ცხოველსაც. ფილტვების საშუალებით ისინი სუნთქავენ, ე.ი. მოიხმარენ ჟანგბადს და გამოყოფენ ნახშირორჟანგს. ფილტვები ბუნებასაც აქვს და ეს მცენარეებია. ხეები, ბუჩქები და ბალახები **გამოყოფენ** ჟანგბადს, რომელსაც ყველა ცოცხალი ორგანიზმი მოიხმარს. მცენარეები ასევე **შთანთქავენ** ნახშირორჟანგს და წმენდენ ჰაერს მტვრისა და მავნე ნივთიერებებისაგან. გარდა ამისა, მცენარეები გვაძლევენ საკვებს, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურად მოვიხმართ. მრავალი მცენარე გამოიყენება მედიცინაში ადამიანების სამკურნალოდ. მცენარეებისაგან მზადდება: სამშენებლო მასალა, ავეჯი, ქაღალდი შენი წიგნებისა და რვეულებისათვის და სხვა. სიცოცხლისათვის უმნიშვნელოვანესია ასევე სუფთა წყალი. ადამიანებმა თავისი მოქმედებით და საქმიანობით არ უნდა მიაყენონ ზიანი გარემოს და არ უნდა დააბინძურონ წყლის რესურსი. ჩვენი პლანეტის სიცოცხლისათვის აუცილებელია ბალანსირებული და მდგრადი **ეკოსისტემა**.

გარემოს დაცვა

ბუნება ჩვენი პლანეტის საჩუქარია და ჩვენ უნდა დავიცვათ იგი. გარემოს **დაცვა** არა მარტო ცხოველებისა და მცენარეების გადარჩენას გულისხმობს, არამედ ჩვენი ჯანმრთელობისა და მომავლის შენარჩუნებასაც. გარემოს დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია საყოფაცხოვრებო **ნარჩენების** მართვა.

გამოყოფენ ნარჩენების სამ ტიპს:

- **ბიოდეგრადირებადი ნარჩენები:** საკვების ნარჩენები, მცენარეების ნარჩენები, ქაღალდი. მათი ძირითადი მახასიათებელია ის, რომ სწრაფად იხრწნება ბუნებრივ პირობებში და შესაძლოა კომპოსტირდეს.
- **არაბიოდეგრადირებადი ნარჩენები:** პლასტმასი, პოლიეთილენი, მეტალი, მინის ნარჩენები. ისინი არ იხრწნება ბუნებრივად და საჭიროებს სპეციალურ უტილიზაციას.
- **მავნე ნარჩენები:** ქიმიური ნარჩენები, ბატარეები, ელექტრონაწარმი. მათ განსაკუთრებული უტილიზაცია სჭირდება, რათა არ დაზიანდეს გარემო.

ნარჩენების მართვისას აუცილებელია:

- არ დავტოვოთ ნარჩენები ბუნებაში.
- შევაგროვოთ და სწორად გადავყაროთ ნარჩენები, რათა არ დაბინძურდეს გარემო და არ დაზიანდნენ მცენარეები და ცხოველები.
- შევამციროთ ნარჩენები **რეციკლირებისა და ხელმეორედ გამოყენების გზით.**

ნარჩენების მართვის პროცესი რამდენიმე ეტაპისაგან შედგება:

- **დახარისხება:** ნარჩენების ტიპების მიხედვით დახარისხება (ბიოდეგრადირებადი, არაბიოდეგრადირებადი, მავნე). დახარისხება ხელს უწყობს ნარჩენების სწორ უტილიზაციას და რესურსების გადამუშავებას.
- **გადამუშავება:** გადამუშავება გულისხმობს ნარჩენების ახალ პროდუქტებად გადაკეთებას. ბიოდეგრადირებადი ნარჩენები გადამუშავდება კომპოსტირების გზით, ხოლო, არაბიოდეგრადირებადი ნივთიერებები რეციკლირების გზით ხელახლა გამოიყენება მრეწველობაში.
- **უტილიზაცია:** არაბიოდეგრადირებადი ნარჩენები სპეციალური მეთოდებით უტილიზირდება, რათა არ დაბინძურდეს გარემო. მავნე ნარჩენები სპეციალურ ადგილებში გადაიტანება და ხდება მათი გაუვნებელყოფა.

კომპოსტირება: კომპოსტირება არის ბიოდეგრადირებადი ნარჩენების ბუნებრივი დაშლის პროცესი, რომელიც წარმოქმნის ნაყოფიერ ნიადაგს.

ნარჩენების მართვა მნიშვნელოვანია გარემოს ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ნარჩენების **არაადეკვატური** უტილიზაცია იწვევს:

- **მიწის დაბინძურებას:** ტოქსიკური ნივთიერებები ხვდება ნიადაგში და აბინძურებს მას.
- **წყლის დაბინძურებას:** ნარჩენების დაშლის შედეგად წარმოქმნილი მავნე ნივთიერებები ხვდება წყალმომარაგებაში და აბინძურებს მას.
- **ჰაერის დაბინძურებას:** ნარჩენები წვის დროს გამოყოფს ტოქსიკურ გაზებს, რომლებიც აბინძურებს ჰაერს.

ეს საინტერესოა!

ნივთიერებების უტილიზაციის ვადები:

1. ბიოდეგრადირებადი ნივთიერებები:

ქაღალდი: 2-6 კვირა.
ხილი და ბოსტნეული: 1-2 კვირა.
ხის პროდუქტები: 1-3 წელი.

2. არაბიოდეგრადირებადი ნივთიერებები:

პლასტმასი: 500-1000 წელი.
მინა: მუდმივად, არ იშლება.
ალუმინის ქილები: 80-200 წელი.

3. მავნე ნივთიერებები:

ბატარეები: არ იშლება, სპეციალური უტილიზაცია სჭირდება.
ელექტრონიკა: სპეციალური უტილიზაცია სჭირდება.

2 უპასუხე კითხვებს:

1. რა განსხვავებაა ბიოდეგრადირებად და არაბიოდეგრადირებად ნარჩენებს შორის?
2. რა ტიპის ნარჩენები შეიძლება კომპოსტირდეს?
3. რამდენ ხანში იხრწნება ქაღალდი და პლასტმასი?
4. რატომ არის მნიშვნელოვანი მავნე ნარჩენების სპეციალური უტილიზაცია?

3 ტესტები:

1. რომელია ბიოდეგრადირებადი ნარჩენი?

ა) პლასტმასი;
ბ) ქაღალდი;
გ) მინა;
დ) ალუმინის ქილები;

2. რამდენ ხანში იშლება პლასტმასი?

ა) 2-6 კვირა;
ბ) 1-3 წელი;
გ) 500-1000 წელი;
დ) არ იშლება;

3. რა ტიპის ნარჩენები არ შეიძლება კომპოსტირდეს?

ა) მცენარეული ნარჩენები;
ბ) ხორცი;
გ) ქაღალდი;
დ) საკვების ნარჩენები;

4. რატომ არის მნიშვნელოვანი ნარჩენების მართვა?

ა) რომ ვასწავლოთ მოსწავლეებს
ბ) რომ დავიცვათ გარემო დაბინძურებისგან
გ) რომ შევინახოთ საკვები
დ) რომ დავიცვათ მცენარეები

4 **გაიხსენე მოთხრობა „პიკნიკი ბუნებაში“, მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, უპასუხე კითხვებს:**

- რატომ არის ბუნება მნიშვნელოვანი ადამიანისათვის?
- რატომ არ უნდა დავტოვოთ ნარჩენები ბუნებაში?
- როგორ უნდა დავიცვათ ბუნება და რა წესები უნდა დავიცვათ პიკნიკის დროს?
- რა შეიძლება გავაკეთოთ, თუ ვნახავთ სხვის მიერ დატოვებულ ნარჩენებს?
- რატომ არის მნიშვნელოვანი ნარჩენების მართვა?
- როგორ მოიქცნენ ბავშვები პიკნიკის შემდეგ?

5 **გამოიყენე პირობითი ნიშნები და შექმენი ბუნების დაცვის პლაკატები:**

6 **თამაში - ნარჩენების მართვა**

შენს თანაკლასელებთან ერთად მოამზადე სხვადასხვა ტიპის ნარჩენები (პოლიეთილენის პარკები, ქაღალდი, მინა, თუნუქის ქილა და სხვა); ასევე დაამზადე მუყაოს ყუთები მათ ჩასაყრელად. თითოეულ ყუთს მიაკარი წარწერა, თუ რა ტიპის ნარჩენები უნდა ჩაიყაროს მასში. მიეცი მეგობარს მოგროვებული ნარჩენები და სთხოვე, დაახარისხოს ისინი.

7 **უყურე ვიდეოს კომპოსტირება - Google ძებნა და კლასელებთან ერთად დაამზადე კომპოსტი ყვავილებისათვის.**

მათემატიკა

სიგრძის ერთეულები

<u>გავიხსენოთ:</u> პატარა სკვერში იზრდება ოთხი ხე: ნაძვი, ფიჭვი, მუხა და ცაცხვი. ცნობილია, რომ ნაძვი ფიჭვზე მაღალია, ცაცხვი კი ფიჭვზე დაბალი, მუხა **უფრო** მაღალია, **ვიდრე** ნაძვი.

როგორია ხეების თანმიმდევრობა სიმაღლის **მიხედვით**?

ვიმსჯელოთ: ხეები სიმაღლის მიხედვით დავალაგოთ, მარცხნივ ყველაზე მაღალი ხე მოვათავსოთ. **რადგან** ნაძვი ფიჭვზე მაღალია, ნაძვი ფიჭვის მარცხნივ მოვათავსოთ. ცაცხვი ფიჭვზე დაბალია და ფიჭვის მარჯვნივ მოვათავსოთ, ხოლო მუხა ნაძვზე მაღალია და ნაძვის მარცხნივ გადავიტანოთ. ხეების **თანმიმდევრობა** სიმაღლის მიხედვით შემდეგია: მუხა, ნაძვი, ფიჭვი, ცაცხვი.

1 **დააკავშირე ერთმანეთთან:**



- გახსნილი ტეხილი
- წირი
- შეკრული ტეხილი
- მონაკვეთი

2 **დაიმახსოვრე:**

სიგრძის საზომი ერთეულია მეტრი (მ). სიტყვა „მეტრი“ ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს **ზომას. „გავზომოთ“** ნიშნავს შევადაროთ **სიგრძის ერთეულს. სახაზავით** გაზომვისას ვადარებთ სიგრძეს - **მილიმეტრს, სანტიმეტრს.** სახაზავზე მცირე **დანაყოფები** გვიჩვენებს **მილიმეტრებს**; ყოველ ორ მეზობელ რიცხვს შორის თითო **სანტიმეტრია**. თუ შედარებისას აღმოჩნდა, რომ სახაზავის ნაწილი 0-დან 5 სმ-მდე ზუსტად დაემთხვა **გასაზომ** საგანს, მაშინ ამ საგნის სიგრძე აღინიშნება რიცხვით 5 – სიგრძე 5 სმ.

სახაზავი

რულეტი (სიგრძის საზომი)

სიგრძის საზომი ერთეულები (საერთაშორისო)
1 სანტიმეტრი (სმ) = 10 მილიმეტრი (მმ)
1 დეციმეტრი (დმ) = 10 სანტიმეტრი (სმ)
1 მეტრი (მ) = 10 დეციმეტრი (დმ) = 100 სანტიმეტრი (სმ)
1 კილომეტრი (კმ) = 1000 მეტრი (მ)

3 **ამოცანა**

გიორგიმ და მისმა მეგობრებმა გადაწყვიტეს ეკოსისტემის აღდგენა მდინარე არაგვის სანაპიროზე.

მათ ნარჩენებისგან უნდა გაწმინდონ მდინარის 2-**კილომეტრიანი** სანაპირო ხაზი; **ყოველ** 20 **მეტრში** უნდა დარგონ ერთი ხე; **ყოველ** 50 **მეტრ მანძილზე** განათავსონ ბანერი - ინფორმაცია ბუნების დაცვის შესახებ და **მთლიან** ტერიტორიაზე უნდა დადგან 10 ნაგვის ურნა.

- **რამდენი მეტრი** სანაპირო ხაზი აქვთ გიორგის და მის მეგობრებს გასაწმენდი?
- რამდენი ხე დასჭირდებათ, თუ **ყოველ** 20 მეტრში თითო ხე უნდა დარგონ?
- რამდენი ბანერია საჭირო მდინარის 2-კილომეტრიან სანაპირო ზოლზე, თუ ყოველ 50 მეტრ მანძილზე ერთი ბანერი უნდა განათავსონ?
- როგორ გაანაწილებენ 20 ნაგვის ურნას 2-კილომეტრიან ზოლზე?

ამოხსნა:

- **რადგან** 1კმ = 1000 მ, 2 კმ = 2000 მ, **მაშინ** მდინარის 2-კილომეტრიანი ზოლი იქნება 2000 მეტრი.
- **რადგან** სანაპირო ხაზი 2000 მ-ია და **ყოველ** 20 მეტრში უნდა დარგონ თითო ხე, სულ დასჭირდებათ

2000 : 20 = 100 ხე.

- **თუ** ყოველ 50 მეტრ მანძილზე უნდა განათავსონ ერთი ბანერი, **მაშინ** სულ საჭირო იქნება

2000 : 50 = 40 ბანერი.

- თუ 20 ნაგვის ურნას 2000 მერტზე გაანაწილებენ, **მაშინ** ყოველ 100 მეტრში უნდა განათავსონ ერთი ნაგვის ურნა.

2000 : 20 = 100 მეტრი.

4 უპასუხე კითხვებს:

- რა არის სიგრძის საზომი ერთეული?
- რამდენი მცირე დანაყოფია ყოველ ორ რიცხვს შორის?

- რომელი სიგრძის საზომი ერთეულები გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში?
- რა განსხვავებაა მეტრსა და სანტიმეტრს შორის?

5 ტესტები:

1. რომელი სიდიდე არღვევს კანონზომიერებას?

ა) კმ ბ) სთ გ) მ დ) დმ

2. ნინიმ და მარიმ გაზომეს ფანქრები და მათი სიგრძე გადაიტანეს რვეულში. დახედე სურათს, რომელმა შეასრულა გაზომვა სწორად?

ა) ნინის გაზომვის შედეგი:
ფანქრის სიგრძეა 14 სმ

ბ) მარის გაზომვის შედეგი:
ფანქრის სიგრძეა 5 სმ

3. შეუსაბამე საზომი ერთეულები საზომ საშულებებს:

+32 გრადუსი

200 მ

5 საათი

ტესტების პასუხები: [1 - ბ; 2 - ა.]

3.



სუნთქვა და ოცნებები

5

დონე 1

ქართული ენა

დააკვირდი ჰოლანდიელი მხატვრის, ვან გოგის ნახატს - „ვარსკვლავებიანი ღამე“:

მხატვარი ამბობდა, რომ ვარსკვლავების დანახვისას ოცნების ხასიათზე დგებოდა და სურვილებს ჩაიფიქრებდა ხოლმე. შენ როგორი განწყობა გაქვს ამ დროს?

ა) მხიარული ბ) მოწყენილი

1 **მონიშნე, როცა ვარსკვლავებიან ცას უყურებ, რომელი სურვილის შესრულებას ნატრობ? (შეგიძლია, რამდენიმე ვერსია მონიშნო ან დაამატო).**

- როცა დიდი გავიზრდები, ბევრ ადამიანს დავეხმარო.
- ბევრი ვიმოგზაურო.
- ცნობილი ადამიანი გავხდე.
- .....

2 **შენი აზრით, რისთვის უნდა გოგონას ჯადოსნური ნატვრისთვალი?**

☐ ლამაზი არის და მოსწონს.

☐ ნატვრას შეუსრულებს.

3 **წაიკითხე ნიმუში და დააკავშირე ნახატები ერთმანეთთან, რომელმა რა ინატრა:**

ნიმუში: *კატამ ინატრა რძე, იმიტომ, რომ უყვარს.*

ვინიპუჰი

ძვალი

პეპელა

რძე

ძაღლი

ყვავილები

კატა

თაფლი

4 წაიკითხე და დაიმახსოვრე სიტყვებისა და ფრაზების განმარტებები:

ნატვრა - ოცნება, დიდი სურვილი

უამრავი - ბევრი

სანაპირო - წყლის ნაპირი

კოშკი - ვიწრო მაღალი შენობა

მშენებელი - ვინც რაიმეს აშენებს

ციმციმებდა - ანათებდა

ხელოვნება - აქ: იგულისხმება ქართული ცეკვა, სიმღერა

სუხიშვილების ცეკვის აკადემია - მსოფლიოში ცნობილი ქართული ნაციონალური ბალეტის - ანსამბლ „სუხიშვილების“ საბავშვო სკოლა.

5 დაუკავშირე ნახატი სიტყვას:

მზის ჩასვლა

კოშკი

სანაპირო

მშენებელი

6 **ვკითხულობთ ტექსტს:**

ვარსკვლავებთან გაგზავნილი სურვილები

ზაფხულის ერთ საღამოს ბავშვები ზღვის სანაპიროზე ისხდნენ, **მზის ჩასვლას** ელოდნენ და სახალისო ამბებს უყვებოდნენ ერთმანეთს.

- ბავშვებო, ნახეთ, რა დავხატე! - თქვა ანომ და ჩანთიდან ულამაზესი ნახატი ამოიღო - ცაზე **უამრავი** ვარსკვლავი **ციმციმებდა**. - მოდით, პატარა ფურცლებზე დავწეროთ ჩვენი სურვილები, ვინ მინდა გავხდე, როცა გავიზრდები; შემდეგ ვარსკვლავებზე დავაწებოთ და ერთმანეთს ვუსურვოთ, რომ შეგვისრულდეს.

ბავშვებს მოეწონათ ანოს იდეა, ფერად ფურცლებზე დაწერეს სურვილები და ხმამაღლა წაიკითხეს.

- მე მინდა, მოცეკვავე გავხდე, - თქვა ცისფერთვალება მარიამმა. **სუხიშვილების ცეკვის აკადემიაში** ვსწავლობ და ძალიან მიყვარს ცეკვა. წარმოგიდგენიათ? - ყოველ დილით ზღვის **სანაპიროზეც** ცეკვით მოვდივარ.

- ჩემს დაიკოს, მარიამს, ცეკვა უყვარს; მე კი სიმღერის აკადემიაში დავდივარ. მინდა, მომღერალი გავხდე. მე და მარიამი სიმღერითა და ცეკვით მოვივლით მსოფლიოს. ქართულ **ხელოვნებას** გავაცნობთ უცხოელებს! - თქვა ანომ.

- მე მინდა, რომ **ნატვრა** ამისრულდეს და ექიმი გავხდე. მინდა, ბევრი ადამიანი გადავარჩინო! - თქვა გიორგიმ.

- მეგობრებო, თქვენ იცით, რომ ჯოხებითა და ქვებით ხშირად ვაშენებ კოშკებს. ვოცნებობ, **მშენებელი** გამოვიდე და ავაშენო ლამაზი სახლები, რომლებშიც ოჯახები ბედნიერად იცხოვრებენ, - თქვა ნიკოლოზმა.

ამასობაში მზეც ჩავიდა. ბავშვებმა ფურცლებზე დაწერილი სურვილები ვარსკვლავებზე დააწებეს და დასაძინებლად წავიდნენ.

მათ სიზმრებში ვარსკვლავები **ციმციმებდნენ** ცაზე და ფერად ფურცლებზე დაწერილ სურვილებს ეთამაშებოდნენ.

ლელა მანგოშვილი

7 უპასუხე კითხვებს:

1. რას ელოდნენ ბავშვები ზღვის სანაპიროზე?

ა) მზის ჩასვლას ბ) გემს

2. მონიშნე, რა დახატა ანომ?

☐ მოცეკვავეები ☐ ვარსკვლავებიანი ცა ☐ ზღვის სანაპირო

3. მონიშნე, რომელია სწორი: ბავშვებმა ფურცლებზე დაწერეს სურვილები:

ა) სად მინდა ვიმოგზაურო ბ) ვინ მინდა გავხდე, როცა გავიზრდები
გ) რა მინდა მაჩუქონ დაბადების დღეზე

4. მარიამს უნდა, რომ გახდეს:

ა) მოცეკვავე ბ) მომღერალი გ) ექიმი

5. ანო ნატრობს, რომ გახდეს:

ა) მხატვარი ბ) მოცეკვავე გ) მომღერალი

6. რას აშენებს ნიკოლოზი ჯოხებითა და ქვებით?

ა) პატარა სახლებს ბ) კოშკებს გ) დიდ სახლებს

7. რატომ უნდა გიორგის, რომ ექიმი გახდეს?

ა) მოსწონს ექიმები ბ) უნდა, რომ ბევრი ადამიანი გადაარჩინოს

8. იპოვე ტექსტში წინადადება, რომელშიც წერია, როგორ მოივლიან მსოფლიოს ანო და მარიამი:

.....

9. რომელი სიტყვა არაა ტექსტში?

ა) ექიმი ბ) მოცეკვავე გ) ფეხბურთელი
დ) მომღერალი ე) მშენებელი

10. რას ნიშნავს ციმციმებს?

ა) ანათებს ბ) ცეკვავს გ) მღერის

11. დააკავშირე ნახატები სიტყვებთან:

1. მზიანი დღე **2.** მთვარიანი ღამე **3.** ვარსკვლავებიანი ცა

12. ა) გაიხსენე მაწარმოებელი -იანი. წაიკითხე და დაიმახსოვრე:

	რა?	**როგორი?**
	მზე	მზიანი
	მთვარე	მთვარიანი
	ვარსკვლავები	ვარსკვლავებიანი

ბ) გაიხსენე ქონა-ყოლის მაწარმოებელი -იანი და სიტყვები სწორად ჩასვი წინადადებებში: თოვლი, მარილი, შაქარი, რძე.

ნიმუში: *ყველას გაუკვირდა ცხენიანი (ცხენი) კაცის გამოჩენა.*

1. ..... (თოვლი) მთების სანახავად გუდაურში წავედით.
2. ბებოს არ უყვარს ..... (მარილი) საჭმელი.
3. ზედმეტად ..... (შაქარი) საკვები ჯანმრთელობისთვის საზიანოა.
4. დედამ ბავშვებს ..... (რძე) ფაფა გაუკეთა.

8 **წინადადებებში სწორად ჩასვი გამოტოვებული სიტყვები:**

მომღერალი, მოცეკვავე, მშენებელი, ექიმი.

1. გიორგის უნდა, რომ ..... გახდეს და ბევრი ადამიანი გადაარჩინოს.
2. მარიამი ცეკვის აკადემიაში სწავლობს და ნატრობს, რომ ..... გახდეს.
3. ანოს ძალიან უყვარს სიმღერა და ოცნებობს, რომ ..... გახდეს.
4. ნიკოლოზს უნდა, რომ ..... გახდეს და ლამაზი სახლები ააშენოს.

9 **დაუკავშირე ერთმანეთს სიტყვები:**

მოცეკვავე	მღერის
მხატვარი	ცეკვავს
მომღერალი	აშენებს
მშენებელი	ხატავს

10 **დააკვირდი ნიმუშს და სწორი ფორმით ჩასვი სიტყვები წინადადებებში:**

სწორია: მე მიყვარს სიმღერა.

სწორია: *მარიამს უყვარს ცეკვა.*

1. ..... (ელენე / ელენეს) უყვარს ხატვა.
2. ..... (ანო / ანოს) უყვარს სიმღერა.
3. .....(ნიკოლოზი / ნიკოლოზს) უყვარს ქვებით თამაში.
4. ..... (ნატალი / ნატალის) უყვარს წიგნის კითხვა.

11 **აწარმოე ნიმუშის მიხედვით:**

ნატვრა	*მე ვნატრობ*
ოცნება	*მე ვოცნებობ*
თამაში	
ხატვა	
ცეკვა	

12 **ნიმუშის მიხედვით, ზეპირად შეადგინე წინადადებები ნახატებისა და სიტყვების გამოყენებით: მე მინდა... გოგონას / ბიჭუნას უნდა...**

მე მინდა, რომ მხატვარი გავხდე.

გოგონას უნდა, რომ მხატვარი გახდეს

ფეხბურთელი

ტანმოვარჯიშე

მსახიობი

პოლიციელი

13 **ჩვენ ვქმნით ტექსტს:**

ა) წარმოიდგინე, რომ ბავშვებთან ერთად შენც იყავი ზღვის სანაპიროზე.

- ფურცელზე დაწერე შენი სურვილი, ვინ გინდა გახდე, როცა გაიზრდები.
- გაითვალისწინე, რომ ნამუშევარში უნდა ჩანდეს, რას გააკეთებ თუ შენი სურვილი შესრულდება.
- შეგიძლია დახატო ვარსკვლავებიანი ცა და ზედ ფურცელზე დაწერილი სურვილი დააწებო.

ნიმუში:

.....

.....

.....

.....

.....

ხელოვნება

ლექსიკონი: ქანდაკება, მოქანდაკე, სკულპტურა

1 **უპასუხე კითხვებს:**

- იცი, რა არის პროფესია?
- გიფიქრია შენს მომავალ პროფესიაზე?
- დააკვირდი სურათებს და გამოიცანი ადამიანების პროფესია.
- როგორ გამოიცანი?

2 წაიკითხე:

> პროფესიის არჩევა საკმაოდ რთულია. თუ გინდა იყო წარმატებული, კარგად უნდა დაფიქრდე, სანამ არჩევანს გააკეთებ. ამ დროს მნიშვნელოვანია საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინება. ზოგიერთი ადამიანი ბავშვობიდანვე ირჩევს პროფესიას, ზოგი კი ცხოვრების განმავლობაში რამდენჯერმე იცვლის მას.

3 უპასუხე კითხვებს:

- ვინ არიან მოქანდაკეები?
- გსმენია რამე მოქანდაკის პროფესიაზე?
- შეგიძლია დაასახელო რომელი ქანდაკება გინახავს?

	
ვახტანგ გორგასლის ძეგლი მოქანდაკე - ელგუჯა ამაშუკელი	**პრიმა-პორტის ავგუსტუსი**
	ქანდაკება - სკულპტურა. სხვადასხვა მასალისგან გამოძერწილი, ჩამოსხმული ან გამოთლილი ფიგურა. **ქანდაკება - მოქანდაკე**
მარიამ მაგდალინელი მოქანდაკე - დონატელო	

4 წაიკითხე:

ქანდაკება ხელოვნების დარგია. ქანდაკება სხვადასხვა მასალისგან მზადდება. მოქანდაკე მასალას თვითონ ირჩევს: ხე, ბრინჯაო, მარმარილო, ქვა, თიხა და ა.შ..

მოქანდაკე ნამუშევრის შესაქმნელად იყენებს სპეციალურ ხელსაწყოებს.

ალბათ, შენც ბევრი ქანდაკება გინახავს. მათი უმეტესობა ლითონისგან ან ქვისგანაა დამზადებული. მასალის შერჩევისას მოქანდაკე ითვალისწინებს თუ სად უნდა განთავსდეს ესა თუ ის სკულპტურა.

მოქანდაკის პროფესია საკმაოდ ძველია. ადამიანები უძველესი დროიდან ამზადებდნენ ქანდაკებებს.

ძველი ბერძენი და რომაელი მოქანდაკეები მაქსიმალური სიზუსტით ასახავდნენ სხეულის ფორმას. დროთა განმავლობაში ქანდაკებაში მიდგომები იცვლებოდა, თუმცა, მოქანდაკის პროფესია დღესაც აქტუალურია.

5 უპასუხე კითხვებს:

მეეტლე დელფოსიდან

დააკვირდი ძველი ბერძნული ქანდაკების ნიმუშს:

- რამდენად დეტალურადაა გადმოცემული სახე, ტანისამოსი, სხეული?
- როგორ ფიქრობ, ქანდაკება სრული სახითაა შემონახული?
- მოიძიე დამატებითი ინფორმაცია მოცემული ქანდაკების შესახებ.

6 უპასუხე კითხვებს:

- რა არის ქანდაკება?
- გაიხსენე, კიდევ რას უწოდებენ ქანდაკებას?
- რა მასალისგან შეიძლება დავამზადოთ ქანდაკება?
- რის მიხედვით ირჩევს ოსტატი მასალას?
- როგორ ასახავდნენ ძველი ბერძნები ადამიანის სხეულს?
- რისი ქანდაკება შეიძლება შექმნას ქანდაკების ოსტატმა?
- შენ ხომ არ დაინტერესდი მოქანდაკის პროფესიით?

7 აირჩიე დავალება:

1. გაიხსენე მოთხრობა „ვარსკვლავებთან გაგზავნილი სურვილები“

„ - ჩემს დაიკოს, მარიამს, ცეკვა უყვარს. მე კი სიმღერის აკადემიაში დავდივარ. მინდა, მომღერალი გავხდე. მე და მარიამი სიმღერითა და ცეკვით მოვივლით მსოფლიოს. ქართულ **ხელოვნებას** გავაცნობთ უცხოელებს! - თქვა ანომ.

- მე მინდა, რომ **ნატვრა** ამისრულდეს და ექიმი გავხდე. მინდა, ბევრი ადამიანი გადავარჩინო! - თქვა გიორგიმ.

- მეგობრებო, თქვენ იცით, რომ ჯოხებითა და ქვებით ხშირად ვაშენებ **კოშკებს**. ვოცნებობ, **მშენებელი** გავხდე და ავაშენო ლამაზი სახლები, რომლებშიც ოჯახები ბედნიერად იცხოვრებენ, - თქვა ნიკოლოზმა.“

შენ ვინ გინდა გახდე? დაწერე შენთვის სასურველი პროფესია და გაუზიარე მეგობრებს, რატომ აირჩე ის.

2. წარმოიდგინე რომ მოქანდაკე ხარ. თიხით ან პლასტილინით გამოძერწე შენთვის სასურველი ფიგურა და წარუდგინე მეგობრებს.

ბუნებისმეტყველება

1 **დააკვირდი სურათებს და უპასუხე კითხვებს:**

1. სურათზე გამოსახულნი არიან:

ა) მასწავლებლები

ბ) ექიმები

გ) ინჟინრები

იმსჯელე, რა მახასიათებლების მიხედვით ამოიცანი პროფესია.

2. სურათზე გამოსახულნი არიან:

ა) მასწავლებლები

ბ) ექიმები

გ) მთამსვლელები

იმსჯელე, რა მახასიათებლების მიხედვით ამოიცანი პროფესია.

3. სურათზე გამოსახულნი არიან:

ა) მასწავლებლები

ბ) ექიმები

გ) მეზღვაურები

იმსჯელე, რა მახასიათებლების მიხედვით ამოიცანი პროფესია.

4. სურათზე გამოსახულია:

ა) გემი

ბ) კოსმოსური ხომალდი

გ) მანქანა

5. კოსმოსურ ხომალდს მართავს:

ა) მძღოლი

ბ) კოსმონავტი

გ) მეზღვაური

სიტყვების / ტერმინების განმარტება:

მედიცინა - მეცნიერებათა ციკლი ადამიანის დაავადებათა თავიდან აცილებისა და მათი მკურნალობის შესახებ **(იხ.გვ.17)**

პროფესია - ადამიანის ძირითადი საქმიანობა, სპეციალობა

ექიმი - სამედიცინო დარგის სპეციალისტი, რომელიც ავადმყოფებს მკურნალობს

საავადმყოფო - სამკურნალო დაწესებულება მწოლიარე ავადმყოფებისთვის

პაციენტი - პირი, რომელსაც ექიმი მკურნალობს

პედიატრი - ბავშვთა ექიმი

მკურნალობა - სამედიცინო ან სხვა საშუალებების გამოყენება დაავადების საწინააღმდეგოდ

პროფილი - საწარმოს, სასწავლებლის, საქმიანობის მიმართულება / სფერო

მატროსი - რიგითი მეზღვაური

კაპიტანი - გემის ეკიპაჟის მეთაური

ეკიპაჟი - სამგზავრო ან სამხედრო ტრანსპორტის მოსამსახურე პერსონალი

იუნგა - ბიჭი, რომელიც გემზე ემზადება მატროსობისთვის და სწავლობს ზღვაოსნობას

ლოცმანი - სპეციალისტი, რომელიც მართავს გემს სახიფათო, ძნელად გასავლელ ადგილებში

კოსმონავტი - ადამიანი, რომელიც დაფრინავს კოსმოსში

პროგრესი - წინსვლა, განვითარება

2 **წაიკითხე:**

პროფესიები

სხვადასხვა პროფესია განსხვავებულ უნარებს, ცოდნას და გამოცდილებას მოითხოვს. თითოეულ პროფესიას, რომელსაც ადამიანი ირჩევს, აქვს თავისი განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა საზოგადოებაში. მიუხედავად განსხვავებებისა, ყველა პროფესიას სჭირდება სწავლა და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა არჩეული საქმისადმი.

ექიმი არის ადამიანი, რომელიც ზრუნავს და პასუხისმგებელია ადამიანის **ჯანმრთელობაზე**. ექიმები საჭირო რჩევებით ეხმარებიან ადამიანებს ჯანმრთელობის შენარჩუნებაში, დაავადებებისაგან დაცვაში. ექიმებს, პირველ რიგში, **უდიდესი პასუხისმგებლობა** აქვთ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მათ საკუთარ სიცოცხლეს ანდობენ.

ექიმობას ბევრი სწავლა სჭირდება. ექიმები სწავლობენ **მედიცინას**, ანუ ადამიანის სხეულის აგებულებას და დაავადებების მკურნალობას. ექიმები მუშაობენ **საავადმყოფოებში**, **კლინიკებში**, **სასწრაფო დახმარებისა** და სხვა სამედიცინო დაწესებულებებში. ადამიანის ყველა ორგანოს შესაბამისი **პროფილის** ექიმი მკურნალობს. ბავშვებისა და მოზარდების ექიმების საერთო სახელია - **პედიატრი.**

მეზღვაური არის ყველა იმ ადამიანის სახელი, რომელიც მუშაობს **საზღვაო / საოკეანო** გემზე. დანიშნულების მიხედვით, არსებობს სამგზავრო, სატვირთო და სამხედრო გემები. მეზღვაურები სხვადასხვა **პროფესიას** სწავლობენ, მაგალითად, გემის მართვას, მარშრუტის შედგენას, გემის უსაფრთხოებასა და მგზავრების კომფორტზე ზრუნვას, **კაპიტნის** მოვალეობებს. **ლოცმანი** მართავს გემს სახიფათო, ძნელად გასავლელ ადგილებში. გემზე სისუფთავის შენარჩუნებაზე პასუხისმგებლები არიან **იუნგები. მატროსები** კი ასრულებენ სხვადასხვა სამუშაოს, გემის **კაპიტნის** ბრძანებით. მეზღვაურებს სჭირდებათ კარგი ფიზიკური მომზადება, გუნდური მუშაობა და პრობლემების გადაჭრის სწრაფი უნარი.

ალპინისტი არის ადამიანი, რომელიც **მთის მწვერვალებზე** ადის. ეს არის ძალიან რთული და **სახიფათო** პროფესია, რომელიც მოითხოვს ფიზიკურ სიძლიერეს და გამბედაობას.

ალპინისტები იკვლევენ მთიან **რეგიონებს**, სწავლობენ მთებსა და ბუნებრივ გარემოს. ისინი ეხმარებიან მეცნიერებსა და გეოგრაფებს ახალი მონაცემების შეგროვებაში, მათთვის მიუწვდომელი ადგილების შესწავლაში; იპყრობენ მიუწვდომელ მწვერვალებს და ხელს უწყობენ სპორტის განვითარებას. ალპინისტები სწავლობენ კლდეზე ასვლას, მთებში გადარჩენის მეთოდებს, უსაფრთხოების ნორმების დაცვას და პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის წესებს.

კოსმონავტი არის ადამიანი, რომელიც **კოსმოსში** მოგზაურობს. კოსმონავტები ატარებენ ექსპერიმენტებს და სწავლობენ კოსმოსურ გარემოს, რათა გაიგონ სამყაროს საიდუმლოებები. კოსმონავტებს სჭირდებათ დიდი ცოდნა მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და კოსმოსის შესახებ. ისინი გადიან რთულ ფიზიკურ და **ფსიქოლოგიურ** მომზადებას, რათა შეძლონ მძიმე პირობებში მუშაობა.

კოსმონავტები მუშაობენ **კოსმოსურ სადგურებზე**, მათი სამუშაო არის სახიფათო და მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებასა და მოთმინებას.

კოსმონავტები ეხმარებიან კაცობრიობას **კოსმოსის** შესწავლაში, ახალ-ახალ აღმოჩენებში, **ტექნოლოგიური** განვითარების მიღწევებში. მათი მუშაობა არის მნიშვნელოვანი მეცნიერებისა და ტექნოლოგიის **პროგრესისთვის.**

3 უპასუხე კითხვებს:

1. რომელი უნარები დაგეხმარება, რომ გახდე კარგი ექიმი / მეზღვაური / ალპინისტი / კოსმონავტი / ან სხვა?
2. ჩამოთვალე ექიმის ძირითადი მოვალეობები.
3. რა სამუშაოებს ასრულებენ მეზღვაურები ყოველდღიურად?
4. რატომ არის მნიშვნელოვანი ალპინისტისთვის ფიზიკური გამძლეობა?
5. რა უნარები სჭირდება კოსმონავტს, რომ წარმატებით იმუშაოს კოსმოსში?
6. როგორ ემზადებიან კოსმონავტები კოსმოსში მოგზაურობისთვის?
7. რომელი პროფესია მოგწონს ყველაზე მეტად და რატომ?

4 სახალისო აქტივობები

1. პროფესიების პოსტერი:

წაკითხული ტექსტიდან აირჩიე ერთი პროფესია და შექმენი პოსტერი, რომელშიც მოკლედ აღწერ არჩეული პროფესიის სამუშაო გარემოს, უნარებსა და პასუხისმგებლობებს.

2. პროფესიების ანალიზი:

წარმოიდგინე, რომ ხარ რომელიმე პროფესიის წარმომადგენელი; დაწერე რამდენიმე წინადადება - რატომ აირჩიე ეს პროფესია და რატომ არის ის მნიშვნელოვანი.

3. ჩემი საქმიანობის ერთი დღე

შეარჩიე სასურველი პროფესია და შენთვის მოსახერხებელი ფორმით (ნახატი, პოსტერი, წერილი) წარუდგინე შენს მეგობრებს - როგორი იქნება შენი სამუშაოს ერთი დღე.

4. კომიქსი: „პროფესიის სუპერგმირი“

შექმენი შენთვის საინტერესო პროფესიის „სუპერგმირის“ ვერსია, რომელიც „სუპერძალის“ გამოყენებით ასრულებს ამ პროფესიისათვის განკუთვნილ მოვალეობებს.

5 ეს საინტერესოა:

სოფლის მეურნეობა და გარემოს დაცვა ჩვენი პლანეტისთვის მნიშვნელოვანი სფეროებია. ამ სფეროებში ადამიანები მრავალფეროვან საქმიანობას ეწევიან და, შესაბამისად, არსებობს მრავალი პროფესია, რომელიც მიზნად ისახავს ბუნების რესურსების შენარჩუნებას, გარემოს დაცვისა და საკვების წარმოების გაუმჯობესებას.

1. სოფლის მეურნეობის ზოგიერთი პროფესია

ფერმერი - არის სპეციალისტი, რომელიც მუშაობს მიწასთან და ცხოველებთან. ფერმერები აწარმოებენ მცენარეულ და ცხოველურ საკვებს, რომლითაც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიწოდებას მომხმარებლისთვის. ფერმერებს სჭირდებათ ცოდნა სხვადასხვა მიმართულებით, მაგალითად, ნიადაგის სტრუქტურა, რომელი მცენარე იძლევა უკეთეს მოსავალს, რომელი შინაური ცხოველი უნდა იყოლიოს და ა.შ..

აგრონომი - არის სპეციალისტი, რომელიც სწავლობს ნიადაგს და რომელი მცენარე უკეთ შეეგუება ამ ნიადაგს. აგრონომები სწავლობენ, როგორ უნდა გაუმჯობესდეს მცენარეთა მოსავლიანობა ისე, რომ მივიღოთ ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

მეფუტკრე - არის ადამიანი, რომელიც ფუტკრების მოვლით და მეფუტკრეობითაა დაკავებული. მეფუტკრეები ფუტკრისგან იღებენ თაფლს, ცვილს და სხვა პროდუქტებს, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს ცხოვრებაში. მეფუტკრეებს სჭირდებათ ცოდნა ფუტკრის შესახებ; უნდა იცოდნენ ასევე, როგორ დაიცვან ფუტკრები დაავადებებისგან.

მეხილე - არის სპეციალისტი, რომელიც რგავს, უვლის ხეხილს, იღებს მოსავალს. მეხილეებმა კარგად იციან ხილის ხეების ზრდისა და მოვლის მთელი პროცესი, რომელიც საჭიროა მოსავლის უმაღლესი ხარისხის მისაღებად.

2. გარემოსდაცვითი ზოგიერთი პროფესია

ეკოლოგი მუშაობს გარემომცველი ბუნებისა და ეკოსისტემების მიმართულებით. ეკოლოგები სწავლობენ გარემოში ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთობას, ადამიანის გავლენას გარემოზე. ეკოლოგები ზრუნავენ ეკოსისტემების დაცვისა და შენარჩუნების გეგმების შემუშავებაზე.

გარემოსდამცველი ინჟინერი ქმნის ახალ ტექნოლოგიებს, რომლებიც ხელს უწყობს გარემოს დაცვას. ის შეიმუშავებს ნარჩენების გადამუშავების, გარემოს დაბინძურების პრევენციისა და ენერგიის დაზოგვის ახალ მეთოდებს.

გარემოსდაცვითი კონსულტანტი მუშაობს კომპანიებთან და ორგანიზაციებთან, რათა დაეხმაროს მათ გარემოსდაცვითი კანონებისა და რეგულაციების შესრულებაში. ის ახორციელებს სხვადასხვა პროექტის ეკოლოგიურ შეფასებას და ხელს უწყობს გარემოსდაცვითი ინიციატივების განვითარებას.

ტყის მცველი / რეინჯერი არის ადამიანი, რომელიც ზრუნავს ტყეების დაცვასა და მართვაზე. იგი აკონტროლებს ტყის რესურსების მდგრად გამოყენებას, უზრუნველყოფს ცხოველებისა და მცენარეების დაცვას ბრაკონიერებისგან, აკონტროლებს დაცულ ტერიტორიებს, ეხმარება ტურისტებს საფეხმავლო ტურების დროს.

მათემატიკა

1000-მდე რიცხვების გამოსახვა

1 ეს საინტერესოა

1. შეაერთე ჩანაწერი შესაბამის რიცხვთან:

ორმოცდათვრამეტი	65
ოცდაშვიდი	100
სამოცდახუთი	58
ოცდათერთმეტი	27
ასი	31

2. რიცხვების ჩასაწერად გამოიყენება ციფრები.

0	ნული
1	ერთი
2	ორი
3	სამი
4	ოთხი
5	ხუთი
6	ექვსი
7	შვიდი
8	რვა
9	ცხრა

ამ **ციფრებს** უწოდებენ **არაბულ ციფრებს**. თითოეული ციფრით ჩაიწერება **ერთნიშნა რიცხვი**.

- რამდენი **ციფრით** ჩაიწერება **ორნიშნა** რიცხვი?
- რამდენი **ციფრით** ჩაიწერება **სამნიშნა** რიცხვი?

1 ათეული = 10 ერთეული = 10 (ათი)
2 ათეული = 20 ერთეული = 20 (ოცი)

წაიკითხე **რიცხვები**: 25, 37, 96

25 = 2 ათეული ☐ ერთეული

37 = ☐ ათეული 7 ერთეული

96 = ☐ ათეული ☐ ერთეული

2 **დავიმახსოვროთ:**

10 ათეული = 1 ასეული = 100 ერთეული ანუ 100 (ასი)

10 ასეული = 100 ათეული = 1000 ერთეული = 1000 (ათასი)

529 = 5 ასეული + 2 ათეული + 9 ერთეული = 5 ასეული +

29 ერთეული = 52 ათეული = 529 ერთეული

ერთი ასეული შედგება 10 **ათეულისგან**



ერთი ასეული შედგება 5 **ოცეულისგან**



3 რიცხვის წარმოდგენა

ნიმუში 1

განვიხილოთ რიცხვი 125

რამდენი **ასეულისგან, ათეულისგან და ერთეულისგან** შედგება ის?

125 = 100 + 20 + 5

ამ **რიცხვში** არის **ერთი ასეული, ორი ათეული** და **ხუთი ერთეული**.

125 = 1 • 100 + 2 • 10 + 5

ასეულები	ათეულები	ერთეულები	წარმოდგენილი რიცხვი
			125

ნიმუში 2

ჩავწეროთ 243 გაშლილი ფორმით:

243 = 200 + 40 + 3

ასეულები	ათეულები	ერთეულები
2	4	3

- რას გვიჩვენებს **ციფრი** 2 ამ **რიცხვის** ჩანაწერში?
- რას გვიჩვენებს **ციფრი** 4?
- რას გვიჩვენებს **ციფრი** 3?

ასეულები	ათეულები	ერთეულები	წარმოდგენილი რიცხვი
			243

4 ამოცანა

მია მთელი წლის განმავლობაში ოცნებობდა საკუთარ ველოსიპედზე. მას ყოველთვის სიამოვნებდა ბუნებაში მეგობრებთან ერთად ყოფნა. ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტა თავისი ოცნება რეალობად ექცია და დაიწყო ფულის შეგროვება. როდესაც ზაფხული მოახლოვდა, მიამ გახსნა თავისი ყულაბა, რომელში თავმოყრილი თანხაც მისი ოცნების რეალობად ქცევასთან უკვე ძალიან ახლოს იყო.

- რამდენი ლარი შეუგროვებია მიას, თუ მას ყულაბაში ჰქონდა 100-ლარიანი სამი ცალი კუპიურა, 10-ლარიანი შვიდი ცალი კუპიურა, 5-ლარიანი ერთი ცალი კუპიურა;
- შეიძენს თუ არა მია საკუთარ საოცნებო ველოსიპედს, თუ მისი ღირებულება 365 ლარია?

ამოხსნა:

100-ლარიანი კუპიურები	10-ლარიანი კუპიურები	5-ლარიანი კუპიურები

ასეული	ათეული	ერთეული
3	7	5

მიას **შეუგროვებია**: 3 • 100 + 7 • 10 + 5 = 375 ლარი

რადგან ველოსიპედის ღირებულებაა 365 ლარი, მიას კი შეუგროვებია 375 ლარი; შედარებისას

$$365 < 375$$

ამიტომ მია იყიდის საოცნებო საკუთარ ველოსიპედს.

პასუხი: მიას შეუგროვებია 375 ლარი; იგი ამ თანხით შეიძენს ველოსიპედს.

5 ტესტები:

1. **<u>3</u>68** - შეარჩიე ხაზგასმული ციფრის მნიშვნელობა (რას გვიჩვენებს ეს ციფრი ჩანაწერში?)

ა) 30 ბ) 300 გ) 3000 დ) 3

2. **3<u>6</u>8** - შეარჩიე ხაზგასმული ციფრის მნიშვნელობა (რას გვიჩვენებს ეს ციფრი ჩანაწერში?)

ა) 60 ბ) 600 გ) 6000 დ) 6

3. 296 =

ა) 200 + 6 ბ) 29 + 6 გ) 200 + 90 +6 დ) 290 + 9 +6

4. ოთხი 100-ლარიანი, რვა 10-ლარიანი და 5 ლარი არის

ა) 405 ლარი ბ) 415 ლარი გ) 480 ლარი დ) 485 ლარი

5. ბარათზე წერია ციფრები. ეს ციფრები დაალაგე ისე, რომ მიიღო უდიდესი შესაძლო რიცხვი.

6 3 9

ა) 369 ბ) 396 გ) 963 დ) 936

ტესტების პასუხები: [1 - ბ; 2 - ა, 3 - გ, 4 - დ; 5-გ.]

ფასეულობები და ღირებულებები

დონე 1

6

ქართული ენა

იაკობ გოგებაშვილი ქართველი ბავშვების საყვარელი მწერალია.
მან შეადგინა „დედა ენა“, „ბუნების კარი“ და დაწერა ბევრი საბავშვო მოთხრობა.

1 **გაიხსენე: ორ ან მეტ ადამიანს შორის საუბარს დიალოგი ჰქვია.**

გაინაწილეთ როლები და წაიკითხეთ ნიას და გიას დიალოგი.

- ვინ იყო იაკობ გოგებაშვილი?

- ამას რა კითხვა უნდა? - „დედა ენის“ ავტორი.

- რა არის „დედა ენა“?

- „დედა ენა“ არის წიგნი, რომელიც ქართველებს წერა-კითხვას ასწავლის.

- ნეტავ როგორ იპოვა იაკობ გოგებაშვილმა ეს სიტყვები - „აი ია“?

- გეტყვი როგორ იპოვა, ბუნებას უსმენდა და გაიგონა.

2 **გაიხსენე ფრინველების სახელები:**

მტრედი

მერცხალი

არწივი

ოფოფი

3 **გამოიცანი, რა არის:**

☐ აყვავებული ხე

☐ ფარშავანგი

☐ მარაო

4 **წაიკითხე და დაიმახსოვრე სიტყვების განმარტება, რომლებიც ტექსტში შეგხვდება:**

ფარშავანგი - ლამაზი ფრინველი, რომელიც ფერად ბოლოს მარაოსავით შლის

ამაყი - საკუთარი უპირატესობის რწმენის მქონე, თავმომწონე

საუცხოო, დიდებული - ძალიან კარგი, შესანიშნავი

ხანდახან - ზოგჯერ, იშვიათად

ბრჭყვიალებს - ბრწყინავს

გაოცებული - გაკვირვებული

5 **დააკავშირე სიტყვები ნახატებთან:**

	ფარშავანგის ბოლო ოქრო / ოქროსფერი	
	გვირგვინი მტრედი / მტრედისფერი	
	მარაო ფარშავანგის ყელი	

6 ვკითხულობთ ტექსტს:

ფარშავანგი

ეზოში ფარშავანგი დადიოდა **ამაყად**.

საუცხოო სანახავი იყო, **ხანდახან** ბოლოს მარაოსავით შლიდა და მზის სხივებზე ბრწყინავდა ულამაზესი ფერებით. თუმცა ზოგჯერ უსიამოვნო ხმით ყვიროდა.

იქვე, გზაზე ორი კაცი მიდიოდა. დაინახეს ეს საოცარი ფრინველი, დადგნენ და გაოცებულები უყურებდნენ.

- რა მშვენიერია! - თქვა ერთმა, - შეხედე, რა ლამაზი ყელი აქვს! ხან მწვანედ ბრჭყვიალებს, ხან **მტრედისფრად**, ხანაც **ოქროსფრად**! თავზეც როგორი **დიდებული გვირგვინი** ადგას! ახლა მის ბოლოს დააკვირდი! არა, ამაზე ლამაზი ფრინველი ქვეყნად არ არის!

- არც ისე ლამაზია, შენ რომ გგონია! დააკვირდი, რა უშნო ფეხები აქვს, თანაც როგორი საშინელი ხმით ყვირის! - უპასუხა მეორემ.

გამვლელების საუბარს გოგონამ მოჰკრა ყური და გაოცებულმა ჰკითხა დედას:

- რომელი ამბობდა მართალს?

- არც ერთი. ორივე ტყუოდა. ერთი ფარშავანგში მხოლოდ კარგ მხარეს ხედავდა, მეორე კი - ცუდს, - უპასუხა დედამ.

იაკობ გოგებაშვილი

7 უპასუხე კითხვებს:

1. როგორ დადიოდა ფარშავანგი ეზოში?

ა) ლამაზად ბ) ამაყად გ) სწრაფად

2. გაარკვიე ხაზგასმული სიტყვის მნიშვნელობა:

<u>საუცხოო</u> სანახავი იყო.

ა) უცხო ბ) უცნობი გ) შესანიშნავი

3. რომელია სწორი პასუხი?

ა) ფარშავანგი ბოლოს ხანდახან მარაოსავით შლიდა.

ბ) ფარშავანგი ბოლოს ყოველთვის მარაოსავით შლიდა.

4. როგორი ფერებით ბრწყინავდა მზის სხივებზე ფარშავანგის ბოლო?

ა) წითელი ბ) თვალისმომჭრელი გ) მწვანე

5. რა თქვა ერთმა კაცმა ფარშავანგზე?

ა) რა მშვენიერია ბ) საოცარია გ) ლამაზია

6. რა თქვა მეორე კაცმა?

ა) რა უშნო ფეხები აქვს ბ) ძალიან ლამაზია გ) საშინელი ხმით ყვირის

7. რას ვიგებთ ბოლო აბზაციდან?

ა) ორივე კაცი მართალი იყო. ბ) ორივე კაცი ტყუილს ამბობდა.

8. რომელი წინადადება გადმოსცემს ტექსტის ძირითად აზრს?

ა) ფარშავანგი საუცხოო სანახავი იყო.
ბ) ერთი კაცი ფარშავანგში მხოლოდ კარგ მხარეს ხედავდა, მეორე კი - ცუდს.

8 დააკავშირე ერთმანეთთან მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები:

საუცხოო	ძალიან კარგი, შესანიშნავი
ხანდახან	გაკვირვებული
გაოცებული	ძალიან კარგი, შესანიშნავი
დიდებული	ზოგჯერ, იშვიათად

9 გაიხსენე ტექსტი და ჩასვი გამოტოვებული სიტყვები:

ხანდახან, ულამაზესი, ამაყად, საუცხოო

ეზოში ფარშავანგი დადოდა ..... .
..... სანახავი იყო, ... ბოლოს მარაოსავით შლიდა, მზის სხივებზე ბრწყინავდა ..... ფერებით. თუმცა ზოგჯერ უსიამოვნო ხმით ყვიროდა.

10 **სწორია თუ არასწორი?**

?	✓	✗
ფარშავანგი არის ფრინველი.		
ის სასიამოვნო ხმას გამოსცემს.		
ხანდახან ბოლოს მარაოსავით შლის.		
მზის სხივებზე ბრწყინავს თვალისმომჭრელი ფერებით.		
ფარშავანგის ყელი ოქროსფრად ბრჭყვიალებს.		
ორივე კაცი მართალი იყო.		

11 **იპოვე, რომელია ზედმეტი სიტყვა:**

ა) ბრჭყვიალებს ბ) ანათებს გ) ყვირის დ) ბრწყინავს

12 **დააკავშირე სიტყვები ნახატებთან და ზეპირად შეადგინე წინადადებები:**

ანათებს, ბრჭყვიალებს, ბრწყინავს

ნიმუში: მზე ანათებს.

მზე	ოქრო	ბრილიანტი

13 **ნიმუშის მიხედვით შეავსე ცხრილი:**

	რა?	**როგორი?**	**როგორ?**
	მტრედი	მტრედისფერი	მტრედისფრად
	ოქრო	ოქროსფერი	ოქროსფრად
	თაფლი		
	ზღვა		
	მზე		

14 **დაალაგე არეული სიტყვები და დაწერე წინადადება:**

ნიმუში: *ეზოში დადიოდა ამაყად ფარშავანგი*

ეზოში ფარშავანგი დადიოდა ამაყად.

1. ორი მიდიოდა გზაზე კაცი

.....

2. ხანდახან მარაოსავით ფარშავანგი ბოლოს შლიდა

.....

3. ლამაზი შეხედე რა აქვს ყელი

.....

4. რა უშნო დააკვირდი ფეხები აქვს

.....

5. გოგონამ ჰკითხა გაოცებულმა დედას

.....

6. ადგას თავზე ფარშავანგს დიდებული გვირგვინი

.....

15 **დააკვირდი ილუსტრაციებს და იმსჯელე; შენი აზრით, რომელია კარგი საქციელი და რომელი - ცუდი.**

შეგიძლია, გამოიყენო სიტყვები:

- უთმობს
- არ უთმობს
- ჩხუბობს
- ტირის
- ერთად თამაშობენ
- ჩხუბობენ
- კარგად იქცევა
- ცუდად იქცევა

ნიმუში: *კარგი საქციელია, როცა გოგონა ბიჭუნას უთმობს ბურთს, ბიჭუნა კი - სათამაშოს, იმიტომ, რომ ერთმანეთს პატივს სცემენ.*

16 **მონიშნე, შენი აზრით, რომელია კარგი საქციელი და რომელი - ცუდი:**

☐		ადამიანი აკვირდება საკუთარ თავს. ის სხვებზე ცუდს არ ლაპარაკობს.
☐		ადამიანები აკვირდებიან სხვებს და მათზე ცუდს ლაპარაკობენ.

17 **ერთხელ კიდევ გაიხსენე ტექსტი და აირჩიე მოსაზრება:**

ა) მე ვეთანხმები პირველ კაცს, ფარშავანგი მშვენიერია!

ბ) მე ვეთანხმები მეორე კაცს, ფარშავანგს უშნო ფეხები აქვს და საშინლად ყვირის.

გ) მე ორივეს ვეთანხმები: ფარშავანგი მშვენიერია, მაგრამ საშინლად ყვირის.

18 **ტექსტის მიხედვით ჩაწერე დიალოგი და დაამატე მესამე პერსონაჟი, რომელიც მეგობრებს სწორ რჩევას მისცემს.**

	- რა მშვენიერია ფარშავანგი! ლამაზი ყელი აქვს. ხან _____ თავზე _____
	- არც ისე ლამაზია! ფეხები _____ საშინელი _____
	მოდით, ნუ ვიკამათებთ; უმჯობესია, კარგი მხარეც დავინახოთ და ცუდიც, რადგან _____ _____

ხელოვნება

1 **გაიხსენე ფერები:**

დააკვირდი ფერთა ბორბალს და ჩაწერე:

თბილი ფერები და **ცივი ფერები**

2 **გააფერადე და დაასახელე:**

- შენ უკვე იცი **ძირითადი ფერები**. გააფერადე მოცემული ბურთები და დაასახელე ფერები.



3 **გაიხსენე:**

- **ალბათ გახსოვს, რომ ძირითადი ფერების შერევით მიიღება შედგენილი ფერები.**

მოცემული უჯრები გააფერადე ისე, რომ მიიღო მითითებული ფერი.



4 **უპასუხე კითხვებს:**

- დააკვირდი ფარშავანგს და დაასახელე, რა ფერებს ხედავ სურათზე?
- რას გაგონებს მისი გაშლილი ბოლო?

ა) მარაოს ბ) ყვავილებს გ) ცისარტყელას

- რაიმე ზღაპარი ან მოთხრობა ხომ არ გახსენდება ფარშავანგზე?

5 **წაიკითხე:**

ფარშავანგი ძალიან ლამაზი ფრინველია და გამორჩეულია თავისი ფერადი ბუმბულებით. ისინი ყველა ფერისაა - მწვანე, ლურჯი, ყვითელი, ნარინჯისფერი და ა.შ.. მზის სხივის დაცემისას ბუმბულის ფერი იცვლება. თავისი სილამაზით ფარშავანგი უძველესი დროიდან აოცებდა მხატვრებს, ამიტომ მისი გამოსახულებები ხშირად გვხვდება სხვადასხვა ნამუშევარში. ფარშავანგი წმინდა ფრინველად იყო მიჩნეული და სხვადასხვა სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა.



მერაბ აბრამიშვილი (1957-2006) ცნობილი ქართველი მხატვარია. მის შემოქმედებაში ბუნებას დიდი ადგილი უჭირავს. ზემოთ მოცემული ფარშავანგები მისი ცნობილი ნამუშევრებია.

ბუნებაში არსებული ფერები ადამიანს ხშირად კარნახობს, როგორ ჩაიცვას, როგორ შეუსაბამოს ოთახში ფერები ერთმანეთს და ა.შ.. შენ უკვე იცი თბილი და ცივი, ძირითადი და შედგენილი ფერები. არსებობს ასევე **კონტრასტული ფერები.** კონტრასტი არის მკვეთრი განსხვავება. კონტრასტული ფერები ნიშნავს ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულ ფერებს.

კონტრასტული ფერები:

	
	



6 **აირჩიე დავალება:**

1. შეასრულე ნამუშევარი შენთვის სასურველ თემაზე. მის შესაქმნელად გამოიყენე კონტრასტული ფერები; მასალად გამოიყენე პასტელი, გუაში ან ფერადი ფანქრები. ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე, როგორია კონტრასტული ფერებით შექმნილი სურათი.
2. დახატე / გააფერადე ფარშავანგი. გახსოვდეს, რომ მისი ბუმბული ფერადი და ჭრელია. ნამუშევარი წარუდგინე მეგობრებს. ისაუბრე, როგორი ფერები გამოიყენე - ცივი, თბილი, ძირითადი, შედგენილი თუ კონტრასტული.
3. აქ შეგიძლია დააკვირდე და ნახო, როგორ გამოიყურება ფარშავანგი.

ბუნებისმეტყველება

1 **დააკავშირე ცხოველები და მათი ხმიანობა:**

გამოიყენე ხმიანობის აღმნიშვნელი სიტყვები და შეუსაბამე (მიუწერე) შესაბამის ცხოველს (ბღავილი, ყეფა, კაკანი, სისინი, ყივილი, ჭიკჭიკი, კნავილი, ჭყვიტინი)

ბულბული	გალობა / გალობს
მერცხალი	
ქათამი	
ბატი	
მამალი	
კატა	
გოჭი	
ძროხა	
ძაღლი	

2 **სიტყვების / ტერმინების განმარტება:**

დეკორატიული - ლამაზი, ესთეტიკური დანიშნულების მქონე

ეგზოტიკური - უჩვეულო, უცხო, მიმზიდველი

კომერცია - ვაჭრობა, სავაჭრო ოპერაციები

ჰობი - რაიმე სახის საქმიანობა, გატაცება, რომელსაც მისდევენ თავისუფალ დროს

გალია - გისოსებით შემოზღუდული სათავსი ფრინველებისა და ცხოველების ჩასასმელად

ვოლიერი - შემოღობილი ადგილი (ცირკში, ზოოპარკში) ცხოველებისთვის

პრევენცია - წინასწარი მოქმედება არასასურველი ან საშიში მოვლენების გაჩენის ან გავრცელების აღსაკვეთად

ინტერაქცია - უკუკავშირზე დამყარებული ურთიერთობა

ვეტერინარული - ცხოველების სამედიცინო მომსახურება

ფაუნა - ცხოველთა სამყარო

ლანდშაფტი - დედამიწის ზედაპირის, ადგილის ხედი

კარიერი - საგანგებო თხრილი მიწაში, სადაც მოიპოვებენ მადნეულს.

3 **წაიკითხე:**

დეკორატიული ფრინველები

დეკორატიული ფრინველები იზიდავენ ადამიანებს თავიანთი უნიკალური გარეგნობით, ფერებით და ხშირად თავიანთი განსაკუთრებული ხმითაც. ამ ფრინველებს აქვთ არამარტო დეკორატიული და ესთეტიკური მნიშვნელობა; მათ აშენებენ **სამეურნეო-კომერციული** მიზნითაც. ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობს მრავალი მოყვარული მეფრინველე, რომლებიც სახლისა თუ საკარმიდამო მეურნეობების პირობებში აქტიურად მისდევენ **ეგზოტიკური** და დეკორატიული ფრინველების მოვლა-შენახვას და მოშენებას. ეს ზოგიერთისთვის **ჰობია**, ზოგისთვის კი **პროფესიული** საქმიანობა, რომელიც მოითხოვს შესაბამის ცოდნასა და პასუხისმგებლობას.

დეკორატიული ფრინველების მოშენებისა და მოვლისათვის აუცილებელია:

- **სათანადო კვება:** დეკორატიულ ფრინველებს სჭირდებათ სპეციალური, დაბალანსებული საკვები, რომელიც მოიცავს მარცვლეულს, თესლებს, ხილს, ზოგიერთ შემთხვევაში, მწერებსაც კი.
- **სივრცე და ჰიგიენა:** ფრინველებს სჭირდებათ **გალია ან ვოლიერი,** რომელიც უზრუნველყოფს მათ თავისუფალ გადაადგილებას, ფრენას და თავშესაფარს. გალიის/ვოლიერის რეგულარული გაწმენდა მნიშვნელოვანია დაავადებების **პრევენციისთვის**.
- **სოციალური ინტერაქცია:** ბევრ დეკორატიულ ფრინველს, განსაკუთრებით თუთიყუშებს, უყვართ სოციალური **ინტერაქცია**. ისინი ხშირად ითვისებენ ადამიანებთან საუბარს და თამაშს.
- **ვეტერინარული მომსახურება:** რეგულარული **ვეტერინარულ**ი შემოწმება აუცილებელია ფრინველების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.

გავეცნოთ ჩვენში გავრცელებულ რამდენიმე სახეობას:

მტრედი

შინაური მტრედის უძველეს წინაპრად ითვლება გარეული შავ-მოიისფრო მტრედი. იგი მოიშინაურეს ჩვ.წ.აღ.-მდე 3000-3500 წლის წინ ძველ ეგვიპტეში. მას შემდეგ ადამიანმა საუკუნეების განმავლობაში მტრედის მრავალი ჯიში გამოიყვანა. ამჟამად ზუსტი მონაცემები იმის შესახებ, თუ მტრედის რამდენი ჯიშია გავრცელებული მთელ მსოფლიოში, არ არსებობს, მაგრამ მიახლოებით ცნობილია 800-ზე მეტი ჯიში და მათ სამ ჯგუფად ყოფენ: საფოსტო, დეკორატიული და სახორცე მიმართულების ჯიშები.

თუთიყუში

თუთიყუში გავრცელებულია მხოლოდ ტროპიკულ და სუბ-ტროპიკულ ზონებში. სახეობათა ყველაზე დიდი მრავალფეროვნება აღრიცხულია ავსტრალიის **ფაუნაში**. ითვლება ხეზე მობინადრე ფრინველად. თუთიყუშები ცხოვრობენ ტყეებში, იშვიათად - გაშლილ ველებზე; რამდენიმე სახეობა გვხვდება მთებშიც; ბინადრობენ გუნდებად; იკვებებიან მცენარეული საკვებით, იშვიათად - მწერებით; ხელს უწყობენ მცენარეთა დამტვერვისა და გამრავლების პროცესს. ხშირ შემთხვევაში ანადგურებენ სასოფლო-სამეურნეო ნათესებსა და ბაღებს.

თუთიყუშები სამყაროს ერთ-ერთი ულამაზესი წარმომადგენლები არიან და დაჯილდოებულნი არიან საუცხოო „ლაპარაკის" უნარით. არიან ძალიან მოძრავები და ენერგიულები. სწორედ ამ თვისებების გამო, ისინი ხშირად მოშინაურებული ჰყავთ გალიებში. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ტალღისებური ანუ ხუჭუჭა თუთიყუში, რომლის სამშობლოც ავსტრალიაა.

ფარშავანგი

ფარშავანგი მოშინაურებულია ადამიანის მიერ. ველურად ის ძირითადად გავრცელებულია ინდოეთში, ინდონეზიის კუნძულებზე, მალაიზიაში, პაკისტანსა და შრი-ლანკაში. არ ერიდება ადამიანის სიახლოვეს. უპირატესობას ანიჭებს ბუჩქნარიან ადგილებს, ტყის განაპირა ზოლებს და წყალსატევის ნაპირებს. უკვე 3000 წელზე მეტია, რაც ფარშავანგმა პოპულარობა მოიპოვა სხვადასხვა ხალხის კულტურაში, ლეგენდებში, ლიტერატურასა და რელიგიაშიც კი. ის პირველად ინდოეთში მოიშინაურეს დაახლოებით 3000-ზე მეტი წლის წინ, ხოლო 1963 წლიდან გამოცხადებულია ინდოეთის ეროვნულ ფრინველად. ამ ქვეყანაში იგი წმინდა ფრინველადაც არის აღიარებული. ფარშავანგი ტყვეობას ადვილად ეგუება, კარგად იტანს მკაცრ კლიმატურ პირობებს და თოვლსაც კი.

იადონი

იადონი მიეკუთვნება იადონისებრ მგალობელ ფრინველთა გვარს; მას ხშირად კანარიასაც უწოდებენ, წარმოშობის ადგილის, კანარის კუნძულების მიხედვით, ანუ იმ ადგილის, სადაც ესპანელმა და პორტუგალიელმა ზღვაოსნებმა ეს ფრინველი პირველად შენიშნეს. XIV საუკუნეში ესპანელმა ზღვაოსნებმა იგი შემოიყვანეს ესპანეთში. ცნობილია, რომ ერთ-ერთი პირველები, ვინც დაიწყო ევროპაში მისი მოშენება, იყვნენ ესპანელი მღვდლები. ბუნებრივია, სანაშენე საქმის წარმოების დროს ადამიანმა თავდაპირველად ყურადღება იადონის არაჩვეულებრივ ხმასა და ჟღერადობაზე გაამახვილა. სწორედ სასიმღერო ნიშან-თვისებებით დაიწყო ამ ფრინველის შერჩევა და გადარჩევა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სხვა გარეული მგალობელი ფრინველებისაგან განსხვავებით, იადონი ადვილად ეგუება ტყვეობას და ძალიან ადვილად თვინიერდება.

ეს საინტერესოა

იადონს ერთი საოცარი თვისება აქვს - მაღალი მგრძნობელობა ჰაერში გაზის (მეთანის) შემცველობის მიმართ. გალობის საოცარი უნარისა და ლამაზი შეფერილობის გარდა, იგი გადაიქცა ადამიანის მაშველ ფრინ-ველადაც. მისი გამოყენება დაიწყეს დახურული ტიპის კარიერებისა და გვირაბების მშენებლობის დროს. როგორც კი იადონი გვირაბში ცუდად იგრძნობდა თავს, მუშები მაშინვე ტოვებდნენ გვირაბს და ამით თავს იცავდნენ გაზით მოწამვლისგან ან აფეთქებისგან.

4 უპასუხე კითხვებს:

1. რა არის დეკორატიული მეფრინველეობა?

ა) ფრინველების მოშენება საკვებისთვის

ბ) ფრინველების მოშენება მათი ლამაზი გარეგნობის გამო

გ) ფრინველების გაზრდა ველურ ბუნებაში

2. რატომ უყვართ ადამიანებს დეკორატიული ფრინველების მოშენება? (მონიშნე ყველა სწორი პასუხი)

ა) მათი ლამაზი ბუმბულისა და ფერების გამო

ბ) მათ უყვართ ფრინველების მოშენება საკვებად

გ) ფრინველების გაზრდა მათი ხმის გამო

დ) კომერციული მიზნების გამო

3. რომელი ფრინველი შლის ბოლოს „მარაოს“ ფორმით?

ა) თუთიყუში

ბ) ფარშავანგი

გ) იადონი

დ) მტრედი

4. შეუსაბამე აღწერილობა და ჩაწერე ცხრილში (*სხვადასხვა ზომის, ფერადი, მოლაპარაკე; ფერადი, გრძელი ბოლო; ნათელი, ხასხასა ფერები; სასიამოვნო ხმა.*)

ფარშავანგი	
იადონი	
თუთიყუში	

5 **იმსჯელე, რა აუცილებელი პირობებია გასათვალისწინებელი დეკორატიული ფრინველების მოშენების დროს:**

6 **სახალისო აქტივობები:**

1. „დეკორატიული ფრინველის გალიის დიზაინი“

გამოიყენე ფერადი ფურცლები, ფანქრები, სტიკერები და შექმენი დეკორატიული ფრინველის იდეალური გალია (გაითვალისწინე ფრინველის კომფორტი, კვება, სივრცე გადაადგილებისთვის და უსაფრთხოება).

2. ფრინველის საკუთარი „ენციკლოპედია“

აირჩიე შენთვის სასურველი დეკორატიული ფრინველი / ან ფრინველები. მოიძიე ინფორმაცია, დაწერე მისი მოკლე აღწერილობა, კვების ტიპი, გავრცელების არეალი / ჰაბიტატი და სხვა მახასიათებლები. ინფორმაცია წარუდგინე შენს მეგობრებს.

3. „ჩემი დეკორატიული ფრინველი“

მოიშველიე ფანტაზია და შექმენი საკუთარი დეკორატიული ფრინველი. ამისათვის შეგიძლია აირჩიო ბუმბულის ფერები, ზომა და ფორმა. შემდეგ დახატე ეს ფრინველი ან გამოძერწე პლასტილინით, ან გამოჭერი ქაღალდისგან.

4. „ფრინველის მოვლის გეგმა“

წარმოიდგინე, რომ შენ გყავს რომელიმე დეკორატიული ფრინველი. შექმენი მისი მოვლის ყოველდღიური გეგმა, რომელშიც აღნიშნავ, რა უნდა გააკეთო, რათა ფრინველი იყოს ჯანმრთელი და ბედნიერი.

5. „ფრინველის სიმღერის ამოცნობა“

დაიხმარე ქვემოთ მოცემული ვიდეო - შეისწავლე ფრინველთა ხმები და ითამაშე „ამოცნობანა“ კლასელებთან ერთად.

6. „ფრინველის ბუმბულის კოლაჟი“

გამოიყენე სხვადასხვა მასალა (ფერადი ქაღალდი, ქსოვილი, ბამბა, ფურცლები, მაკრატელი, წებო) და შექმენი დეკორატიული ფრინველის ბუმბულის კოლაჟი.

მათემატიკა

პერიმეტრი

1 **უპასუხე კითხვებს:**

რა საერთო სახელი აქვს მოცემულ **გეომეტრიულ ფიგურებს** და **რამდენი გვერდი** აქვს თითოეულ მათგანს?		**ოთხკუთხედი,** **ოთხი**
მოცემული ფიგურებიდან რომელია **მართკუთხედი**?		**მართკუთხედია** 1, 3 და 5
როგორი მართკუთხედია **კვადრატი?**		მართკუთხედს, რომლის გვერდები ტოლია **კვადრატი** ეწოდება

2 **გავიხსენოთ, რა ვიცით მართკუთხედის შესახებ:**

მართკუთხედი ისეთი ოთხკუთხედია, რომელსაც ყველა კუთხე მართი აქვს	მართკუთხედის მოპირდაპირე გვერდები ტოლია	მართკუთხედის მოპირდაპირე გვერდები პარალელურია

3 **ამოცანა**

ლანდშაფტის დიზაინერს დაევალა ახალი რეკრეაციული ზონის მოწყობა ქალაქის პარკში. ამ ზონაში უნდა განლაგდეს **ერთი დიდი** ზომის და **ორი მცირე** ზომის ვოლიერი. ყველა ვოლიერს აქვს **მართკუთხედის** ფორმა და მოითხოვს შემოღობვას. დიდი ვოლიერის ზომებია: **სიგრძე** - 20 მეტრი, **სიგანე** - 15 მეტრი, ხოლო მცირე ვოლიერის ზომებია: **სიგრძე** - 10 მეტრი, **სიგანე** - 5 მეტრი. გამოთვალე **თითოეული** ვოლიერის **პერიმეტრი** და მთლიანად **რამდენი მეტრი** ღობე დასჭირდება **ყველა** ვოლიერის შემოღობვას?

ამოხსნა:

რომ გავიგოთ, რამდენი მეტრი ღობე დასჭირდებათ რეკრეაციულ ზონაში ვოლიერების შემოსაღობად, საჭიროა გამოვთვალოთ მართკუთხედის **პერიმეტრი.**

პერიმეტრი არის **მანძილი ბრტყელი გეომეტრიული ფიგურის** გარშემო და წარმოადგენს მისი **შემადგენელი ყველა გვერდის ჯამს.** რადგან მართკუთხედის **მოპირდაპირე გვერდები ტოლია**, ამიტომ პერიმეტრის გამოსათვლელად **სიგრძეს** მივუმატოთ **სიგანე** და **მიღებული ჯამი გავამრავლოთ** 2-ზე. $(a + b) \cdot 2$ **წარმოვთქვამთ ამგვარად:** a-სა და b-ს ჯამი გამრავლებული ორზე.



თითოეული ვოლიერის პერიმეტრი იქნება:

დიდი ზომის ვოლიერი:

სიგრძე - 20 მ

სიგანე - 15 მ

(20 + 15) • 2 = 35 • 2 = 70 მ

მცირე ზომის ვოლიერი:

სიგრძე - 10 მ

სიგანე - 5 მ



(10 + 5) • 2 = 15 • 2 = 30 მ

ერთი დიდი ზომის და **ორი მცირე** ზომის ვოლიერების შემოსაღობად დასჭირდებათ:

70 მ + 2 • 30 მ = 70 მ + 60 მ = 130 მ

პასუხი: რეკრეაციულ ზონაში ვოლიერების შემოსაღობად **სულ** დასჭირდებათ 130 მ სიგრძის ღობე.

4 **წაიკითხე და დაუკვირდი კითხვა-პასუხს:**

- რას წარმოადგენს **მრავალკუთხედი?**

მრავალკუთხედი არის **ბრტყელი გეომეტრიული ფიგურა**, რომელიც **შემოსაზღვრულია** სამი ან მეტი **მონაკვეთით**. ამ მონაკვეთებს მრავალკუთხედის **გვერდები** ეწოდება.

- რას ეწოდება **სამკუთხედი**?
- **სამკუთხედი** ეწოდება **ბრტყელ გეომეტრიულ ფიგურას**, რომელიც შედგება სამი **წერტილისაგან,** რომელიც **ერთ წრფეზე არ მდებარეობს** და ამ **წერტილების წყვილ-წყვილად შემაერთებელი** სამი **მონაკვეთისაგან.**

5 **გამოთვალე ბრტყელი ფიგურის პერიმეტრი:**

ბრტყელი ფიგურა	ბრტყელი ფიგურის პერიმეტრი
	15 სმ + 12 სმ +12 სმ = 39 სმ
	10 სმ + 10 სმ + 10 სმ +10 სმ = 40 სმ
	14 სმ + 8 სმ + 8 სმ + 14 სმ = 44 სმ

ტესტები:

1. ქალაქებს შორის მანძილის გასაზომად რომელ ერთეულს გამოიყენებდი?

ა) კილომეტრი ბ) სანტიმეტრი გ) მეტრი დ) დეციმეტრი

2. ოთახის სიგრძისა და სიგანის გასაზომად რომელ ერთეულს გამოიყენებდი?

ა) კილომეტრი ბ) სანტიმეტრი გ) მეტრი დ) დეციმეტრი

ტესტების პასუხები: [1 - ა; 2 - გ.]

ჩემი ლექსიკონი

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....